საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 33 (277) ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 1993 წელი. ფასი 5 მანეთი.

წუხელ შეიტყვეთ

უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად

საზოგადოება „სოხუმის" თავმჯდომარე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეონიდე ჯახია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში იყო, როცა საქართველოს პარლამენტში განიხილავდნენ აფხაზეთში საქმის ვითარების საკითხს. აი რა უამბო მან საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჯიბუტს.

— განხილვა ძნელი და დაძაბული იყო, არსებითად წყდებოდა ომისა და მშვიდობის, ჩვენი ხვალინდელი დღის ბედი, ის, თუ როგორ დავამთავროთ ღირსეულად ჩვენთვის თავსმოხვეული ომი. ერთმანეთს შეეჯახა დიამეტრალურად განსხვავებული თვალსაზრისი და შეფასებანი, ამიტომ კონსესუსის მიღწევა გაჭირდა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მიღებულ იქნა გააზრებული, კომპრომისული გადაწყვეტილება, რომლითაც ნდობის მანდატი მიენიჭა სახელმწიფოს მეთაურსა და საქართველოს მთავრობას რუსეთთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად და მასთან ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დასადებად, დაისახა აფხაზეთის კონფლიქტში შექმნილი ჩიხიდან გამოსვლის კონკრეტული გზები. კერძოდ, კვლავ აქტუალურია სოხუმის ბლოკადის მოხსნის ამოცანა, რათა ჩვენმა მრავალტანჯულმა ქალაქმა, რომელიც ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა, შვებით ამოისუნთქოს.

იმ კითხვის პასუხად, თუ როგორ აფასებს საზოგადოება „სოხუმი" ქალაქში შექმნილ ვითარებას და სოხუმელთა მორალურ სულისკვეთებას, ლეონიდე ჯახიამ თქვა, რომ ვითარება ქალაქში რთულია. მდინარე გუმისთის მხრიდან სოხუმისათვის მუდმივი ცეცხლის დაშენა დიდ ზარალს აყენებს ქალაქს, მის მეურნეობას, იღუპებიან სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებლები. სამხედრო თვალსაზრისით, თქვა მან, ამ დაბომბვებში სახეირო დიდი არაფერია, მათ უფრო დაშინების ხასიათი აქვთ, რათა გამოიწვიონ მოსახლეობის დემორალიზაცია, სოხუმის დატოვება აიძულონ იმ მცირეოდენ მცხოვრებთაც, რომლებიც ქალაქში დარჩნენ. მაგრამ სოხუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მედგრად და ღირსეულად იტანენ ომით გამოწვეულ გაჭირვებას.

●

კვლავ სტიქიის ტყვეობაში

უკვე მესამე თვეა თოვლის სქელ საბურველშია გახვეული იმერეთის ზონა. ყინვებსა და ქარბუქს მთელი რიგი პრობლემები მოაქვს ისედაც შეჭირვებული მოსახლეობისათვის. არის სტიქიის პირველი მსხვერპლიც. საქონლის სადგომის გადმოთოვლის დროს დაიღუპა ტყიბულის საქალაქო ზონის ცუცხვათის მეცხოველეობის ფერმის გამგე უშანგი კუბლაშვილი. უკვე რამდენიმე დღეა არანაირი კავშირი არ არის ზონის მაღალმთიან სოფლებთან. მათ შორის მუხურის მიმართულებით, სადაც წინასწარი მონაცემებით 4 მეტრამდე სიმაღლის თოვლი დევს. რთული ვითარებაა საჩხერისა და ჭიათურის სოფლებში, სადაც უკვე რამდენიმე თვეა პურიც არ გამომცხვარა.

მაკა კილაძე.

ამ დღეებში

გვაწვდიან „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქვეყნო ფიქრი

საით იყურება აჭარა?

ფრიდონ ხალვაში

ასეთ კითხვას თბილისსა თუ საქართველოს სხვა კუთხეებში ბოლო ხანს ხშირად გაიგონებ, მაგრამ რატომღაც სერიოზულად პასუხის გაცემას არ მოინდომებ — გეგონება რაღაც ხუმრობა, ან გულუბრყვილობით გამოწვეული რამაა ყოველივე ეს.

მაგრამ ამას წინათ, იანვრის მიწურულის დიდთოვლობამ, ზემო აჭარის სოფელ გეგელიძეებში ჩამკეტა, სადაც ჩემს თანასოფლელებთან, თანატოლებთან საუბრებმა კიდევ ერთხელ შემახსენა ეს ამბავი და მაიძულა ორიოდე სიტყვით ჩემი მოსაზრება გამეზიარებინა ამ კითხვაზე. იმასაც ვიტყვი, — ამ წერილს იქვე, ბათუმის გაზეთში გამოვაქვეყნებდი, მაგრამ ვამჯობინე, და ალბათ საქმესაც მოუხდება იგი უფრო ფართო მკითხველისთვის გაცხადდეს.

აქვე მინდა გავიხსენო შარშანდელ ტელესაუბარში ბატონ ასლან აბაშიძის ერთი ძალიან მარჯვე გამონათქვამი, რომელიც ჩემს ნათქვამსაც ალბათ მეტ დამაჯერებლობას მიანიჭებს. როცა ვალერი კვარაცხელიამ ინტერვიუს ბოლოში ჰკითხა, რას ფიქრობთ აჭარის მომავალზეო, ბატონმა ასლანმა განაცხადა, — აჭარა საქართველოს მთლიანობის ქვაკუთხედი იყო, არის და მუდამ იქნებაო. რა თქმა უნდა, ეს გამონათქვამი ამ წერილის სათაურად გატანილი კითხვის ნამდვილი პასუხიცაა, მაგრამ მე მაინც შევეცდები აღნიშნული კითხვით აღძრული ჩვენებური კაცის ზოგი სხვა სათქმელიც გაგიზიაროთ.

დიახ, თოვლმა თანასოფლელებთან ჩამკეტა, მაგრამ გულში იმ დიდ თოვლს მადლობა ვუთხარი, რომ რამდენიმე დღით ჩემი ბავშვობის გარემოში დამაბრუნა, ახლობლებთან მამყოფა, მასაუბრა და მათგან ბევრი რამ ისეთიც გამაგონა, ახლანდელი მძიმე ვითარებით დამძიმებულ განწყობილებას ერთგვარ საყრდენად რომ შეეშველა.

წისქვილთან ერთი თანასოფლელი წამომეწია. ნაბდის ქუდზე ცარიელი ჯვალო წამოეფინა. ვიცანი — თანატოლი იყო, მაგრამ წვერმოშვებული ჩემზე ხნიერი ჩანდა. სულმოუთქმელად დამაჯახა: — ჰო, გაჯავრებული ვარ თქვენზე, აქაურ ინტელიგენტებზე. რაიზა არ პასუხობთ იმდენ ტყუილის მთესველს, ჩვენზე რომ იძახიან, იქით იყურებიანო... სად იქით უნდა ვიყურებოდე ამფერი ქვეყნის პატრონი?!

იცი, ამას წინაებზე მესხეთ-იმერეთ-კახეთში ჩასახლებულ ნათესავებს ვესტუმრე და გულლია მუსაიფებში იქაურ ადგილობრივებსაც დაცდათ აჭარაზე რაცხა ეჭვნარევი კითხვები. მე ჩემდათავად აგერ გეტყვი რაც ვუპასუხე.

აჭარა წინ იყურება, რომ ფეხი არ წამოიკრას და არ წაიქცეს-მეთქი. ხოლო წინაი გზა, რაც მისი გასავლელია, ის გზა საქართველოს გულმკერდზეა გადავლებული-მეთქი.

— რაფრათ მითქვამსო, აქეთ მომიბრუნდა ჩემი მეწისქვილე. — ძალიან კარგად-მეთქი, მოვუწონე მეც.

მინდოდა ჩამომეთვალა მათი სახელი და გვარები, ვისაც გეგელიძეებში შევხვდი და გულიანად ვესაუბრე, მაგრამ მერე ჩემთვის გავიფიქრე, რაში მჭირდება მოწმეების ჩამოთვლა და ამ პატიოსანი ხალხის შეწუხება-მეთქი, და გადავწყვიტე მათი ნაფიქრალი, მათი გამჟღავნებული ტკივილები მე თავად გავამხილო.

მაგრამ ვიდრე ამ წერილის საწერად მაგიდას მივუჯექი, ახალი კითხვები მოიტანა ტელევიზიამ. რა თქმა უნდა, მოსკოვის ტელევიზიამ. ...ჯერ იყო და, აჭარაში შეჭრას ცდილობენო საქართველოს სამხედროები.

ყოველმხრივ გამაღიზიანებელი და შემაშფოთებელი ინფორმაცია იყო. ჯერ ერთი, ისეა იგი მოწოდებული, კაცს ეგონება აჭარა სხვა სახელმწიფოაო. მეორე და, როგორც მერე ოფიციალურად ითქვა, ასე არ ყოფილა. გვარდიელთა თუ მხედრიონელთა სახელით და სამოსით ვიღაც ბანდიტები მართლაც მოდგომიან ჩოლოქს, რათა ჩვენში დაბანაკებულ ყოფილ საბჭოთა ჯარის სამყოფელებს დასხმოდნენ და იარაღი წაერთმიათ. ახლა, ამ მშვიდ კუთხეში რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა, ადვილი გასაგებია.

ასეთ თავზეხელაღებულთა ბანდებს არაფერი ესაქმებათ ბათუმში და არც შევუშვებთ.

გაწვრთნილ, ნასწავლ, დისციპლინიან, ნამუსიან და კულტურულ ქართულ ჯარს ჩვენი თავი ენაცვალოს. როცა ასეთი ერთიანი, სანდო, ცივილიზებული ეროვნული არმია იქნება, მობრძანდეს და თავის მიწა-წყალს უპატრონოს ღირსეულად ჩემი თანასოფლელები ასე ფიქრობენ.

ანდა, ვთქვათ რუსებთან ურთიერთობაზეც, რუსის ჯარი დგას და გვიცავს თურქეთის საზღვართან. ჯერ ასეა, ძმაო და, იმას ვინც დღეს მიცავს, ვურტყა და ვლანძღოო?! განა ეს ეკადრება ქართველის ხასიათს? რა ხდება ჩვენს პარლამენტში, იმდენი დღე იმაზე იკამათეს ვიმეზობლოთ და ვიმეგობროთ თუ არა რუსეთთანო. განა ეს, ნორმალურია?

თვით სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე რუსთაგან და გერმანელთაგან ვინც დარჩა ცოცხალი, ამას წინათ შეხვდნენ ერთმანეთს და შერიგდნენ, ყველაფერი აპატიეს ერთმანეთს, ვოლგოგრადის ერთ დიდ მოედანს შერიგებისა უწოდეს. ჩვენც უნდა გადავდოთ თუ გადავივიწყოთ წარსულის წყენანი და დიდი მეზობელი, თავისი აურაცხელი რესურსებითა და სიმდიდრით ჩვენს შვილებს მოკეთედ დავუტოვოთ.

აი, რას ფიქრობს, საით იყურება აჭარა.

მერე, შრომა? პარლამენტზე ერთი საქმიანი კამათი არ ყოფილა იმაზე, რომ არავინ ხნავს მიწას, არავინ თესავს.

მარტო შემოტანით ქვეყანა იცოცხლებს? თავისი მარცვლეულის მოყვანაზე არ უნდა ვიფიქროთ?

ამ წერილის დამთავრებამდე მოხდა ის, რომ ოსტანკინოს ტელეცენტრმა უჩვენა გადაცემა ბათუმიდან, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ ცდილობს ზოგი არაკეთილმოსურნე რუსი ჟურნალისტი სეპარატიზმისკენ უბიძგოს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს. ისინი თითქოს აჭარის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა აზრს ეყრდნობოდნენ. სინამდვილეში ზღვისპირის ყავახანიდან ნაჩვენები კადრით უბრალო მაყურებელიც მიხვდებოდა, რომ არც ერთი მათგანი, ვინც რუსულ მიკროფონში ლაპარაკობდა, როგორც იტყვიან, ეთნიკურად ქართველი, ე. ი. აჭარელი არ ყოფილა.

ამ ტენდენციურმა და ახალი ცუდი ამბებისთვის გამიზნულმა გადაცემამ ჩვენი აღშფოთება და გულისტკივილი გამოიწვია. ეს კადრები რუს ჟურნალისტს ალბათ აჭარის ხელმძღვანელთათვის არ უჩვენებია, თორემ არა მგონია ამოდენა სიყალბის დემონსტრირებაზე თანხმობა მიეღო.

შემდეგ ჩემი თანასოფლელები ფიქრობენ... ბოლო მოეღოს გაუთავებელ ეჭვიანობას და უნდობლობას აჭაურებისადმი. ჩვენისთანა „ღორი" ქართველი ნეტა მილიონობით მისცა საქართველოსო. კი, წინ ვიყურებითო, მაგრამ ხანდახან გვერდითაც უნდა მივიხედოთ. ვინ გვყავდა, ვინ გვყავს, ვინ გვეყოლება, ამაზე ხომ უნდა ვიფიქროთ? ერთი რამ ყველამ გაიგოს, ჩვენებურ სოფლის პატრონ გლეხს თვალი სხვისისაკენ (ვთქვათ თურქულისაკენ) არასდროს გაექცევა. მაგრამ იქ, გადაღმა რომ მილიონობით სისხლხორცეული მოძმე მეგულება, იმათზე არ ვიდარდო? გულიანი ქართველები იმათში ძალიან ბევრია. მაგრამ ისე ავეჭუწკეთ ყველაფერი მის სანატრელ „მემლექეთ-საქართველოში", რომ უბრალო ჩამოსვლისაც ეშინია. გინდაც მათდამი ნდობა-დამოკიდებულება განვჭვრიტოთ. გვივარგა? — არა! მუსლიმანი ქართველად არ გამოდგებაო, ამტკიცებს ხანდახან ზოგიერთი „ეროვნულად მოაზროვნე" ინტელიგენტი, ამ აზრის ქადაგება საბედისწერო შეცდომა იქნება მომავალი საქართველოსთვის.

ერთმა თანასოფლელმა ჩემს ბოლო რომანში წამოჭრილ სურვილს დაუჭირა მხარი. ქართველ მუსლიმანთა თითო-ოროლა შვილი თუ მაინცდამაინც სასულიერო განათლებისკენ გაიწევს, სტამბულ-სამარყანდ-ბაქოში კი არა, ჩვენივე თბილისის უმაღლესებში უნდა ვამეცადინოთ. თუ ასე კარგი არაბისტები გვყავანან, ეპატრონონ ამ ყმაწვილებს და სხვის ხელში და სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოაქცევენ ამათ ჭკუა-გონებას, რა მოხდა მერე, — ისწავლონ არაბულად ყურანი, ქართულად კი თავიანთი საკუთარი მშობელი ხალხის კულტურას ეზიარონ. მერე ასეთი მოლა უფრო ჭკვიანურად, ცოდნით, თავისი ერის სიყვარულით და ყადრით შეიარაღებული ხომ უფრო მადლიანად წარუძღვება თავისიანებს საქართველოსთვის გამოსადეგი გზით?

ჩემი თანასოფლელები ფიქრობენ... სამარცხვინო და აუტანელია ის, რაც აფხაზეთში ხდება. ამ ამბებში აჭარის ერთგვარი თავშეკავებულობა ახალი საყვედურების საბაბად არავინ უნდა გამოიყენოს. აჭარაში რომ ათასობით აფხაზია, ნახეთ როგორი თავშეკავებული სიმშვიდითა და გაგებით უდგანან გვერდში ჩვენებურ კაცს. ნახეთ, დაიჯერეთ, ირწმუნეთ. ჩვენ ასეთი ურთიერთობა, ძმობა, სიყვარული უნდა ვიხსნათ, გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ, რათა ხვალ თესლი სიკეთისა, ურთიერთ ძმური ნდობა-გატანისა ჩვენს ერთიან მამულში ვთესოთ.

აჭარა შეიძლება გამოვიყენოთ ნიმუშად, მაგალითად იმისა, თუ როგორი მოთმინებით, ურთიერთპატივისცემით, თანაარსებობის უმაღლესი და, გნებავთ, ბიბლიური გაგებით, უდგებიან აქ სხვა ხალხთა შვილებს. მაგრამ, ვიმეორებ, აქ დამკვიდრებულ „სხვა ხალხთა" წარმომადგენელმა, ისე აღვირახსნილად, როგორც ხსენებულ ოსტანკინოს გადაცემაში, არ უნდა იკისროს საუკუნეთა მანძილზე განაწამები აჭარელი ქართველის მაგივრად თავად ილაღადოს და ჩვენ, აქაურნი, პირში ჩალაგამოვლებულნი საკუთარი ერისა თუ მთელი დანარჩენი სამყაროს წინაშე საკუთარ ხალხთან ყოფნის მოწინააღმდეგედ გამოგვიყვანოს. ამას ვერავის ვაპატიებთ.

ჩვენისთანა დიდი წარსულისა და ამოდენა ცივილიზაციის ხალხს დიახაც უნდა ეხერხებოდეს და ღირსეულად შეეძლოს თავის თანამედროვეთა თვალსაწიერი რელიგიურ გავლენა-ემოციებზე მაღლა ასწიოს, რათა ერთი ენისა და სისხლის შვილები სულიერად, ფიზიკურად ერთმანეთთან დააბრუნოს და ამყოფოს ერთად სამარადისოდ.

და ბოლოს, ხდება, რომ ერთი ხელმძღვანელი კი არა, ზოგჯერ მთელი პარლამენტი და თვით სახელმწიფოც კი შეცდომას დაუშვებს ხოლმე. ახლა ჩვენ ერთმანეთის კარგი უნდა დავინახოთ, გამოვარჩიოთ და ეროვნული მთლიანობის გადასარჩენად გამოვიყენოთ.

ვინც მხვდება თბილისში, მეუბნება, რა კარგია — თქვენთან სიმშვიდე და სიუხვეაო. სიუხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს სიმყუდროვე კი ისევ ჩვენი მოსავლელი და დასაცავია.

რა ხდება, საით იყურებით? — მაინც კითხულობენ.

აჭარა თავის ყანა-ბაღჩისაკენ, თავის სამშობლოსაკენ, ესე იგი წინ სავალი გზისაკენ იყურება, ხოლო ეს გზა საქართველოს გულმკერდზეა გადავლებული.

მოგვეცით შრომის საშუალება!

ბრიგოლ ლომიძე,
თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" მუშა.

პატივცემულო რედაქციავ!

დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა ეს წერილი. ახლაც ხელი მიკანკალებს, არ მემორჩილება, არ ვიცი, როგორ დავწერო და გამოვთქვა გულისტკივილი, რომ გამიგონ, დამეხმარონ. მესმის, დღეს ყველას გვიჭირს, ქვეყანაში ომია და იმიტომ, მაგრამ ომის მოსაგებად ბრძოლასთან ერთად, ხომ თავდადებული შრომაც არის საჭირო. ჩვენი უბედურება სწორედ ეს არის — არ ვმუშაობთ. ბევრს ვლაპარაკობთ, საქმით კი არაფერს ვაკეთებთ.

ავიღოთ, მაგალითად, ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი", სადაც მე 50 წელზე მეტია, ხელოსნად ვმუშაობ. აქ რომ დღეს გაჭირვებაა, ასეთი არასოდეს გვქონია. თვით დიდი სამამულო ომის დროსაც კი, ფაბრიკა დღედაღამ შეუჩერებლად მუშაობდა, ახლა კი სანახევროდ, გაჩერებულია. და იცით რატომ? ნედლეულსა და მასალებს, რომელთა 85 პროცენტი რუსეთიდან შემოდიოდა, ვეღარ ვღებულობთ.

მე მუშაკაცი ვარ, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ძალზე მაკვირვებს ზოგიერთი პარლამენტარის პოზიცია — არ დაიდოს მეგობრობის ხელშეკრულება რუსეთთან, ჩვენს მეზობელთან, რომელთან ეკონომიკურ კავშირებზეც ჩვენი კეთილდღეობა ბევრად არის დამოკიდებული. დიახ, პარლამენტში, ამ საკითხზე კამათობენ, ბჭობენ, ჩვენ კი გაჩერებული ვართ, არ ვმუშაობთ, პროდუქციას არ ვქმნით, აგერ, ფაბრიკის მეორე შემკერ საამქროს მთელი ზამთარი არ უმუშავია. მუშები პირველ მარტამდე გაშვებული ვართ უხელფასო შვებულებაში, მერეც რა იქნება, ღმერთმა უწყის.

ასეთი სურათის შემყურეს ხშირად მიჩნდება სურვილი, ვთხოვო ბატონ ნოდარ ნათაძეს (იგი თავის გამოსვლებში კატეგორიული წინააღმდეგია ხოლმე რუსეთთან სამეგობრო ხელშეკრულებისა) მობრძანდეს ჩვენს ფაბრიკაში, შეხვდეს მშრომელ ადამიანებს, გაიგოს მათი გასაჭირი, და არა მარტო მან, ალბათ, დროა პარლამენტის წევრებმა გამონახონ თავისუფალი დრო, რათა შეხვდნენ ფაბრიკა-ქარხნების მშრომელებს, პირადად დარწმუნდნენ, არის თუ არა საჭირო ხელშეკრულება მეზობელ სახელმწიფოსთან.

რა თქმა უნდა, მე არ მოვითხოვ, იმას, რომ პარლამენტარებმა ისე გადაწყვიტონ საკითხები, როგორც მუშები ფიქრობენ, მაგრამ იმას კი უნდა გაუწიონ ანგარიში, რომ შრომის პირობები შეგვიქმნან, რათა ქვეყანასაც სარგებლობა მივცეთ და ოჯახიც შევინახოთ, შვილები და შვილიშვილები გამოვზარდოთ.

თუ იქნება ურთიერთგაგება, სიძნელეებსაც დავძლევთ

შეხვედრა მწერალთა და ხელოვანთა ერთ ჯგუფთან

სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე მწერლებთან შეხვედრის დროს.
გივი კიკვაძისა და იოსებ დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართული მწერლობისა და კულტურის პროფესიულ საკითხთა ფართო სპექტრი, საქართველოში შექმნილი სადღეისო ვითარება განიხილეს შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 17 თებერვალს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ერთ ჯგუფს. ეს შეხვედრა გასცდა ჩვეულ რეგლამენტს და გულახდილი დიალოგის ფორმა მიიღო. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავად მისცა ამის მაგალითი მონაწილეებს, რამაც განსაზღვრა კიდეც შეხვედრის ტონალობა. მიუხედავად იმისა, რომ საკითხები მწვავე და არაორდინალური იყო, საუბარი მეტად კონსტრუქციული და ობიექტური შედგა.

— სისტემად უნდა ვაქციოთ ასეთი შეხვედრები, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — ჩვეულებრივი, ადამიანური საუბრები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ექნება ჩვენს ცხოვრებაში. რაც სათქმელია, ვუთხრათ ერთმანეთს. მით უმეტეს ახლა, როცა დღეს თვისებრივად სხვა სახელმწიფოა და როგორი გაჭირვებაც უნდა იყოს, უფრო მეტი უნდა იყოს ურთიერთგაგება, რადგან ასეთ ვითარებაში შეიძლება იოლად გადაილახოს ბევრი სიძნელე.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა მსოფლიოში მომხდარ იმ ცვლილებებზე, რაც ბოლო 5-6 წლის განმავლობაში მოულოდნელად და დაჩქარებით მოხდა. გარდამავალ პროცესში, აღნიშნა მან, მეც გარკვეულწილად ვმონაწილეობდი. ეს ცვლილება საქართველოშიც განხორციელდა, მაგრამ ჩვენში მოხდა ახლა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა — მოიშალა ეკონომიკური კავშირები, გაუჭირდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სფეროს, ამ დროს საზოგადოებაში თავი იჩინა დაბნეულობამ, უიმედობამ, რაც ყველაზე საშიშია. გაუჭირდა ინტელიგენციასაც. დღის წესრიგში დადგა ქვეყნის გადარჩენის, კულტურის ხსნის საკითხები და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გამოვიარეთ მძიმე წლები, არც მაშინ ჩამორჩა ქართული კულტურა და ვითარდებოდა მსოფლიოს სტანდარტების დონეზე. ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება — ერთადერთია, რომელიც არასოდეს წაიშლება, რომლის დაკარგვაც არ შეიძლება. და თუ დღეს ქართული საზოგადოების გადარჩენის საფრთხე ისეთი აღარ არის, როგორიც იყო, ამაში დიდია მწერლობის, საზოგადოების მოწინავე ნაწილის როლი. კვლავ რჩება ამოცანად არ მოიშალოს ურთიერთნდობის საფუძველი. ამ ნდობის გარეშე ძნელი იქნება გაკეთდეს უმოკლეს დროში ის, რასაც სხვები 20-30 წელიწადს ანდომებენ. ამის გაკეთება ეროვნული ენერგიის სწორ კალაპოტში ჩაყენება, ეროვნული გმირობა სჭირდება. თუ საქართველოს არ ექნება მრავალპროფილიანი დიდი პოლიტიკა, იგი ვერ იარსებებს.

შეხვედრაზე ილაპარაკეს საქართველოს რუსეთთან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან კონტაქტების, საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სტატუსის, თანამედროვე ცხოვრების სხვა აქტუალურ საკითხებზე.

განსაკუთრებული მღელვარებით წარიმართა საუბარი სამაჩაბლოს პრობლემებზე, აფხაზეთის კონფლიქტზე, ქართული ეროვნული ჯარის შექმნაზე.

გულახდილი და საქმიანი საუბარი საკმაო ხანს გაგრძელდა. სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხოდ არ დატოვა არც ერთი შეკითხვა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ მწერლები გურამ ფანჯიკიძე, კობა იმედაშვილი, რეზო ამაშუკელი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, გრიგოლ აბაშიძე, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, მხატვრები მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი. ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო და არა იმდენად საკუთარ გასაჭირზე, არამედ იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომელთა ხორცშესხმა დიდად შეუწყობს ხელს ვითარების სტაბილიზაციას ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა მწერლობის როლი დღევანდელ საქართველოში, ჩვენი სულიერი ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში. ითქვა იმის თაობაზე, რომ მწერლობა დღეს ვალდებულია დაეხმაროს მშობელ ხალხს წარმოქმნილი სიძნელეების გადალახვაში.

მერი გაბრიაძე.

ნომერში

⊙ ინტერვიუ ფეხმოუცვლელობის ხელწერილდადებულ კაცთან. 2-3

⊙ არის კი შანსი გადარჩენის? 3

სამაჩაბლო ჩვენი ტკივილია

17 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ცხინვალელ ლტოლვილთა დროებითი საბჭოს წევრებს. საუბრის დროს შეეხნენ სამაჩაბლოში შექმნილ დღევანდელ სიტუაციას, რიგ პრობლემებს, რომელთა მოგვარება ხელს შეუწყობს ლტოლვილთა მძიმე ხვედრის შემსუბუქებას, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხისათვის რწმენის დაბრუნებას. შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს და კვლავაც გააკეთებს იმისათვის, რომ საკუთარ მიწაზე ლტოლვილებად ქცეულ ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა დაუბრუნდნენ მამა-პაპისეულ კერას.

საუბარში მონაწილეობდნენ სამაჩაბლოს პრობლემების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის წევრები, პარლამენტარები გივი აბალაკი და პაატა ჩხეიძე, საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ვაშაკიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

ინდექსირებული თანხების პრივატიზაციის პროცესში მოქცევის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის გაუმჯობესების, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებისა და მასში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. უფლება მიეცეთ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს დააფუძნონ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საინვესტიციო ფონდები საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული სათანადო ლიცენზიის საფუძველზე. ამჟამად არსებულ იურიდიულ პირებს მიენიჭოთ საინვესტიციო ფონდის სტატუსი საკუთარი წესდების საინვესტიციო ფონდების ტიპობრივ წესდებასთან შესაბამისობაში მოყვანისა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსგან სათანადო ლიცენზიის მიღების შემთხვევაში.
2. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს ათი დღის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ დასამტკიცებლად დებულება საინვენსტიციო ფონდების შესახებ, მათი საქმიანობის ლიცენზირების წესი, საინვესტიციო ფონდის ტიპობრივი წესდება, საინვესტიციო ფონდის ტიპობრივი საემისიო პროსპექტი.
3. საქართველოს რესპუბლიკის შემნახველმა ბანკმა ხელი შეუწყოს ინდექსირებული თანხების საინვესტიციო ფონდების სპეციალურ ანგარიშებზე ნებაყოფლობითი უნაღდო ანგარიშსწორების გზით აკუმულირებას.
4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დააწესოს კონტროლი აკუმულირებული თანხების მიზნობრივ გამოყენებაზე.
5. საინვესტიციო ფონდებში თანხები ჩაირიცხოს სათანადო ნორმატიული აქტების შემუშავების შემდეგ ეკონომიკური რეფორმის შტაბის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

13 თებერვალი, 1993 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოების სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოების სტრუქტურის შეცვლასთან და მათი საქმიანობის ძირეულად გარდაქმნასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. შეეცვალოს სახელწოდება საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს და დაერქვას საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი, მის ხელმძღვანელს — საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი.
2. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებებს ეწოდოს შესაბამისად რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარიატი, მის ხელმძღვანელს — რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარი.
3. შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 8 დეკემბრის 1090 დადგენილებაში და იმ დადგენილებით დამტკიცებულ ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოების დებულებაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

13 თებერვალი, 1993 წელი.

ვისთვისაც ძვირფასია
სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

● **ქარელის** რაიონის საწარმო-დაწესებულებები, ცალკეული მოქალაქეები აქტიურად ჩაებნენ რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის ფონდის განმტკიცების საქმეში. დღეისათვის ეს თანხა 3841102 მანეთია. მათ შორის განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა აგარის შაქრის კომბინატმა, მან 2200 000 მანეთი გადარიცხა, ბრეთის სახელმწიფო მეურნეობამ 31400 მანეთი, ქარელის ებრაელთა საზოგადოებამ 49650, რუისის საკრებულომ 164860, მრავალდარგოვანმა საწარმო „ედომ" 200 000 მანეთი. ასოციაცია „იბერიამ" 5500 მანეთი, ურბნისის საშუალო სკოლამ 1523, ღირბის საბავშვო ბაღმა 1600, კულტურის დარგის მუშაკებმა 10 000 მანეთი.

● **კასპის** რაიონის გამგეობის აპარატის თანამშრომლები თავდაცვის ფონდს პირადი დანაზოგი 13175 მანეთით შეეწივნენ. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ დავით გობეჯიშვილმა კი საერთო თანხას 4675 მანეთი შემატა.

რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ტარიელ შარიფაშვილმა თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი — 105000 მანეთი გაუნაწილა რაიონის ინვალიდებსა და პენსიონერებს, მარტოხელებს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაღუპულთა ოჯახებს, ლტოლვილებს აფხაზეთიდან.

● **ცეკავშირის** კასპის სასურსათო კომბინატმა (დირექტორი რევაზ მუხიგულაშვილი) ამ დღეებში გადარიცხულ 1 მილიონ მანეთს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან შეგროვილი 21000 მანეთიც დაუმატა.

● **კასპის** რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანების (მთავარი ექიმი ნუგზარ გოგიბედაშვილი) კოლექტივმა პირადი დანაზოგიდან კასპის ბატალიონს, რომელიც აფხაზეთში იბრძვის, გადასცა 23000 მანეთი.

რაც ყველას გვაწუხებს

მშვიდობით თუ გამარჯობა, იარაღო!

ზალინა ხარებაშვილი.
„სრ" საპარლამენტო კორ.

დაახლოებით ამგვარად შეიძლება გამოიხატოს პარლამენტის გუშინწინდელი სხდომის მეორე ნახევრის შინაარსი და განწყობილება, როდესაც პარლამენტარებს განსახილველად წარუდგინეს ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ კანონპროექტების ორი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ვარიანტი.

პარლამენტის იურიდიული კომისიის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტის (პირველი ვარიანტი) დედააზრი იყო მოსახლეობიდან ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება და მისი ტარების აკრძალვა, მართლწესრიგის და კანონიერების დაცვის კომისიის მიერ. წარმოდგენილი მეორე ვარიანტი კი იარაღის დაკანონებას მოითხოვდა.

მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ გაიყო რა პარლამენტართა აზრი, კამათი თავიდან ბოლომდე ორ პარალელურ ხაზს გაჰყვა და გადაკვეთის წერტილი ვერ გამოინახა. შესაბამისად თითქმის მთელი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ პარლამენტი ვერანაირ კონკრეტულ გადაწყვეტილებას ვერ მიადგა.

ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ის გახლდათ, რომ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ისეთი დამაჯერებელი არგუმენტაციის მოხმობა, რითაც მეორე მხარეს თავის სისწორეში დაარწმუნებდა და კონსესუსის შესაძლობას გამოკვეთდა.

პირველი ვარიანტის შემდგენლები და მომხრეები ძირითადად იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ საჭირო ყოველნაირი ზომების მიღება მოსახლეობისათვის იარაღის ჩამოსართმევად, რაც, რასაკვირველია, საამისო კანონიერი ბაზის დამკვიდრებით უნდა დაიწყოს.

სურვილი, იცოცხლეთ, კარგი იყო. არ მეგულება საქართველოში არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელსაც ეს არ სურდეს (გარდა ნაძირალა ბანდიტებისა, რომელთათვის იარაღი პურია არსობისა). ნეტავ წუთით იყოს ეს საქმე ჩემ ნებად, მოქმედ იარაღს კი არა, სამუზეუმო ექსპონატსაც კი გავაქრობდი. მაგრამ... განა მხოლოდ ეს სურვილი გვაქვს, რომელსაც ვერ ვახორციელებთ?

გვინდა თუ არ გვინდა, რეალობით, ჩვენში შექმნილი კონკრეტული სიტუაციით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ეს თვალსაზრისი გაიხადეს ამოსავლად მეორე კანონპროექტის ავტორებმა.

თუმცაღა ბატონი თემურ სუმბათაშვილის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, ხალხს თავის დაცვის საშუალება უნდა მივცეთო, ცოტა არ იყოს, არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. მაგალითად მე (და ჩემისთანას რამდენსაც გინდათ იმდენს) ავტომატური იარაღი კი არა, ატომური ბომბიც რომ მოგვცენ, არა მგონია მაგ საქმიდან რაიმე გამოვიდეს. მე სახელმწიფომ უნდა დამიცვას. ყოველ შემთხვევაში სურვილი და პრეტენზია ასეთი მაქვს.

უფრო დამაჯერებელი იყო ვაჟა ადამიას და დავით კუპრეიშვილის არგუმენტები, რომ დღესდღეობით საქართველოში ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს მოსახლეობისთვის იარაღის ჩამორთმევას და კანონი ამის თაობაზე ფარატინა ქაღალდად იქცევაო. ჩათრევას ისევ ჩაყოლა უნდა ვამჯობინოთ და იარაღი დავაკანონოთ, ასე აჯობებსო.

ამ რაოდენობის იარაღის ჩამორთმევა მართლაც გადაულახავ სიძნელეებთან რომ არის დაკავშირებული, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ასეთია, სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელობის ერთ-ერთი მწარე რეალობა, (რეფრენივით გასდევს ამ რეალობის განცდა როგორც ამ პუბლიკაციას, ასევე მთელ ჩვენს ცხოვრებას). თუმც რესპუბლიკური და მწვანეთა პარტიები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

კამათი სხდომაზეც და შესვენებაზეც გრძელდებოდა. იყო მწვავე შეფასებებიც — „პროექტის პირველი ვარიანტი დაკვეთით არის შესრულებული და არარეალურია" (ვაჟა ადამია), „მეორე ვარიანტი ბანდიტიზმის დაკანონებას გვთავაზობს" (ზურაბ ჟვანია) — უფრო ლოიალურებიც. საბოლოო ანგარიშით, როგორც უკვე ვთქვი, საერთო ვერ გამოინახა. ისე მომეჩვენა, თავად უფალი (თანაც მამალმერთი, მომეტევოს მკრეხელობა) რომ ჩამობრძანებულიყო მოკვდავთ საშველად ამ დღეს, იდეალური ვარიანტის გამოძებნა მასაც გაუჭირდებოდა.

იყო წინადადებაც ორი პროექტის შეჯერებით ერთი ,კარგი ვარიანტი შემუშავდესო, რაც შეუძლებლად მიიჩნიეს ავტორებმა.

კენჭი მხოლოდ პირველ ვარიანტს ეყარა, რომელიც ვერ გავიდა, მეორეს — არ ეყარა, რადგან იგი არ განხილულა. რომც ეყარათ კენჭი, ხმათა საჭირო რაოდენობას ვერც ის მოაგროვებდა. ასე რომ, საკითხი ღიად დარჩა. მისაღები ვარიანტის შემუშავებისათვის მუშაობა გრძელდება.

ვაჟა ადამია: „საჭიროა ყოვლისმომცველი კანონი"

საქართველოს პარლამენტის ბოლო სხდომებზე მწვავე კამათის საგანი გახდა იარაღის კანონი. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა მართლწესრიგის და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ვაჟა ადამიას და სთხოვა მას გამოეთქვა თავისი აზრი ზოგადად ამ პრობლემის გარშემო.

— ბატონო ვაჟა, რა იყო იმის მიზეზი, რომ იურიდიული კომისიის მიერ წარდგენილი იარაღის კანონი არ დამტკიცდა პარლამენტის წინა სხდომაზე და გადმოეცა თქვენს კომისიას?

— ამის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ კანონის შექმნა ჩვენი კომისიის კომპეტენციაში შედიოდა და არა იურიდიული კომისიისა. მოხდა საპარლამენტო კომისიების უფლება-მოვალეობათა აღრევის ფაქტი. იურიდიული კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონი იყო რუსული კანონმდებლობის კალკირების მცდელობა. კანონს სრულიად დაუხვეწავი სახე ჰქონდა. მისი დამუშავება მოითხოვდა დაახლოებით ოცამდე კანონქვემდებარე აქტს. შეუძლებელია ისეთი კანონის მიღება, სადაც არეულია სამხედრო, სამოქალაქო და სამართალდამცავი სფეროები. ერთი სიტყვით, იურიდიული კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონი მკვდრადშობილი იყო. იარაღის კანონზე მუშაობა დაგვევალა სამ კომისიას: თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების, იურიდიულ და მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიებს. ჩვენს მიერ ერთობლივად შემუშავებული კანონი სრულიად განსხვავებულია. ზემოხსენებული კანონი, ვფიქრობთ, ძალზე დახვეწილი და მაღალი დონისაა.

ამ კანონის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს უფლება ეძლევათ იარაღის დაკანონებისა. ხოლო ავტომატურ იარაღთან დაკავშირებით, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია პარლამენტის წინა სხდომებზე, გადავწყვიტეთ, რომ გამონაკლისი დაგვეშვა. მოვძებნეთ გარკვეული კომპრომისი და შესაძლებლად ჩავთვალეთ ავტომატური იარაღის დაკანონება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ შენახვის უფლებით. კომისიებს ამოძრავებდათ ის აზრი, რომ მოსახლეობაში უამრავი ავტომატური იარაღია — აბსოლუტურად მოუწესრიგებელი და აღურიცხავი სახით. კანონში ყოველგვარი მფლობელობის უგულებელყოფა გაურკვეველი ვადით გაახანგრძლივებდა იარაღის აღურიცხაობას.

— ის ადამიანები, რომლებსაც ასეთი „საჩუქრის" შენახვის უფლება ექნებათ, ვალდებულნი არიან თუ არა საჭიროების შემთხვევაში პასუხსაგები მისია შეასრულონ ერისა და ქვეყნის წინაშე?

— რასაკვირველია. საქმე ის გახლავთ, რომ შენახვა არ გულისხმობს მის მთლიანად საკუთრებაში ფლობას. ამ კანონს თან ერთვის გარკვეული პირობები, რომლებიც ავტომატური იარაღის მფლობელმა აუცილებლად უნდა შეასრულოს. პირველი მოწოდებისთანავე დადგეს იქ, სადაც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვს. რაც შეეხება პისტოლეტს, კანონი ითვალისწინებს მისი შეძენის, ტარებისა და გამოყენების წესს.

აქტუალური ინტერვიუ

— ავტომატური იარაღის კანონიერად მფლობელი, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ისეთივე ფორმით აგებს პასუხს, როგორსაც დაუკანონებელი იარაღის მქონე პირი?

— რა თქმა უნდა. ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს არავინ აგებს პასუხს, თუ დანაშაულის ფაქტზე არ იქნა დაკავებული. ჩვენს სახელმწიფოს არა აქვს მექანიზმი, რომლითაც შეიძლება განხორციელდეს ცეცხლსასროლი იარაღის აღრიცხვა და ჩამორთმევა. ამ კანონით შესაძლებლობა გვეძლევა მოსახლეობაში იარაღის აღნუსხვისა, რის შემდეგაც სამართალდამცავი ორგანოების მხედველობის არეში მოექცევა თუ რა გვაქვს, რამდენი და რა სახეობისა. ვიდრე ავტომატური იარაღის შენახვისა და უფლების წესი დამკვიდრდებოდეს, რამდენიმე განასროლი ტყვია შეინახება სპეციალურ საცავში, ხოლო მისი მონაცემები შევა კომპიუტერში. ასე რომ, შედარების, დაზუსტებისა და დაკონკრეტების შემდეგ გაირკვევა, თუ რომელი იარაღის მეშვეობით მოხდა დანაშაული და დამნაშავეც სათანადოდ დაისჯება ვინც უნდა იყოს იგი.

— თუ არსებობს ამ კანონის მსგავსი კანონი რომელიმე სხვა ქვეყანაში?

— ამერიკის ზოგიერთ შტატში არის მსგავსი კანონი იმ განსხვავებით, რომ იქ ავტომატური იარაღი თავისუფლად იყიდება. ჩვენი კანონი კი არ ითვალისწინებს იარაღის შეძენას. შესაძლებელია აღმოჩნდნენ იმის მსურველები, რომ ავტომატური იარაღი შეიძინონ და გამოთქვან პრეტენზიები მისი დაკანონების თაობაზე. სწორედ ამიტომაც, ჩანასახშივე, მიეცა ამ კანონს სამართლიანობის სახე და გარკვევით გამოიკვეთა ავტომატური იარაღით დასაჩუქრების ფაქტი იმ პირებზე, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქვეყნის თავდაცვის საქმეში. საჩუქრის სახით იარაღის დაკანონება, დანარჩენი მოქალაქეების ყოველგვარ პრეტენზიებს გამორიცხავს.

— არის შემთხვევა, როდესაც, ახალგაზრდა კაცი ირიცხება რომელიმე შეიარაღებულ დაჯგუფებაში, მცირე ხნით გამოჩნდება ფრონტის ხაზზე, მერე კი ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად ბრუნდება უკან და გაიძახის, სამშობლოს მთლიანობისათვის სისხლი დავღვარეო!

— ამის გარკვევა არ არის ძნელი. ყველამ კარგად ვიცით, ვინ რისი მაქნისია, თუ ვინ სად იბრძოდა და რა წვლილი შეიტანა ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში. დღეს, როდესაც მართალია ჩანასახის დონეზე, მაგრამ, მაინც გაგვაჩნია საჰაერო, სატანკო თუ სხვა სამხედრო შენაერთები, მუშაობენ შესაბამისი სამხედრო და სახელმწიფო სამსახურები, ამის დადგენა არ უნდა გაჭირდეს.

— ბატონო ვაჟა, პარტიებს ან რომელიმე ფირმის წარმომადგენლებს თუ ექნებათ ავტომატური იარაღის დაკანონების უფლება?

— არა. ნებისმიერი პარტიის წევრი მოქალაქე გახლავთ და საერთო კანონმდებლობას უნდა ემორჩილებოდეს. არავითარი გამონაკლისი კანონიერი შეიარაღების თაობაზე არ უნდა დავუშვათ.

მერაბ შათირიშვილი.

გზად საბაზრო ეკონომიკისკენ

რძის საცალო ფასების შესახებ

რძის მრეწველობის ნორმალური ფუნქციონირებისა და რძეზე მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა: დამტკიცდეს და 1993 წლის 15 თებერვლიდან შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ რძის საცალო ფასები.

პროდუქციის დასახელება	საცალო ფასი (მან. და კაპ.)
3,2 პროცენტი ცხიმიანობის პასტერიზებული რძე, მათარებით, 1 ლიტრი	50—00
იგივე, ბოთლებით, 0,5 ლიტრი	30—00
იგივე, „პიურ-პაკის" ტიპის პაკეტებით ან პოლიეთილენის პარკებით, 1 ლიტრი	60—00
2,5 პროცენტი ცხიმიანობის პასტერიზებული რძე, მათარებით, 1 ლიტრი	40—00
იგივე, ბოთლებით, 0,5 ლიტრი	25—00
იგივე, „პიურ-პაკის" ტიპის პაკეტებით ან პოლიეთილენის პარკებით, 1 ლიტრი	50—00
ცილოვანი რძე, ბოთლებით, 0,5 ლიტრი	20—00
იგივე, „პიურ-პაკის" ტიპის პაკეტებით ან პოლიეთილენის პარკებით, 1 ლიტრი	40—00

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო გამოსცემს რძის საცალო ფასების პრეისკურანტს.

ძალადაკარგულად ჩაითვლება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 15 თებერვლის 179 დადგენილებით დამტკიცებული რძის საცალო ფასები.

წერილების ეხო

„ეს ხომ საკუთარი თავის მოტყუებაა"

„საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წელი, № 216.

რედაქციას უპასუხებს ზესტაფონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარე ა. კაკაურიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილის გამო ზესტაფონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობა გაცნობებთ, რომ მასში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. ტყის უკანონო ჩეხვა განაპირობა არგვეთის მევენახეობის მეურნეობის დირექციის უყურადღებობამ და ტყისადმი უდარდელმა დამოკიდებულებამ. აღნიშნულ და სხვა ფაქტებთან დაკავშირებით მეურნეობისა და ქვედა საქარის საკრებულოს ხელმძღვანელობა დროულად და მკაცრად გავაფრთხილეთ. ის პირები კი, რომლებიც ტყის ჩეხვაში იქნენ შემჩნეული, დაჯარიმდნენ გარკვეული რაოდენობის თანხებით და საქმე გადაეცა რაიონის პროკურატურას, მოჭრილი ხეების ნაწილი კი ჩამოერთვა დამნაშავე პირებს და გადაეცა სოფლის საკრებულოს ელექტროხაზების შესაკეთებლად.

ისიც უნდა ითქვას, რომ წერილში აღნიშნული ტყის მასივი ძალზე დააზიანა რამდენიმე წლის წინ ნავთობსადენის გაფუჭების შედეგად გაჩენილმა ხანძარმა და მცენარეთა მავნებლებმა, ამიტომ რაიონის სატყეო მეურნეობამ ქვედა საქარის საკრებულოს რეკომენდაცია მისცა მოეჭრა ტყის დაზიანებული ნაწილი და შემდეგ დაეწყო მისი აღდგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭირო ღონისძიებები გატარდება მომავალში.

ასევე გაცნობებთ, რომ როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ასევე რაიონშიც ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ტყეების დაცვის საქმეში. ეს განსაკუთრებით ეხება საკოლმეურნეო ტყეებს. კოლმეურნეობების რეორგანიზაციის შედეგად ტყეები ფაქტობრივად დაუცველი დარჩა, მოსახლეობამ კი, რომელიც მოკლებულია სათბობ საშუალებებს და ხელი არ მიუწვდება მათზე, უღიერად დაიწყო ტყეების გაჩეხვა და მისი სათბობად გამოყენება. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით ადგილობრივი მმართველობის გამგეობამ არა ერთი ღონისძიება გაატარა, ჩატარდა სპეციალური თათბირი, შემუშავდა საჭირო ღონისძიებათა გეგმა, გააქტიურდა ტყის დასაცავად სოფლების საკრებულოების ხელმძღვანელთა და სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთა საქმიანობა და ა. შ.

სარედაქციო ფოსტიდან

მთელი თვე გაზეთი არ მიმიღია...

პატივცემულო რედაქციავ, თქვენი გაზეთი გამოწერილი მაქვს 1993 წლის 1 იანვრიდან, 6 თვით. მაგრამ იანვარში, მთელი თვის მანძილზე მისი არცერთი ნომერი არ მიმიღია. ფოსტის თანამშრომლებმა თუ მიითვისეს, აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო.

როგორც ვიცი, თქვენი რედაქცია დაინტერესებულია, ხელმომწერმა გაზეთი რეგულარულად მიიღოს. აკი სარეკლამო განცხადებითაც გვპირდებოდით, რომ მისი მიღება უზრუნველყოფილი გვექნებოდა, რადგან ხელმოწერის თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ფოსტის მუშაკებისათვის ყოფილა განკუთვნილი.

გთხოვთ გაარკვიოთ, ვინ მიითვისა ჩემი კუთვნილი „საქართველოს რესპუბლიკის" იანვრის ნომრები და მიიღოთ ზომები, რათა დამიბრუნონ მისი ღირებულება და მომავალში მაინც წესიერად ჩამაბარონ გამოწერილი გაზეთი.

ნ. გოცირიძე.
თბილისი.

თანამშრომლობა

თურქეთი ეხმარება „კოლხეთს"

თბილისის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანება „კოლხეთი" საქართველოს ის საწარმოა, რომელსაც პრაქტიკულად არ შეუწყვეტია მუშაობა რესპუბლიკაში შექმნილი არასტაბილური ვითარების მიუხედავად.

ამ ბოლო ხანს გაერთიანების კოლექტივმა მჭიდრო საქმიანი კონტაქტები დაამყარა თურქეთის ფირმა „გრაციასთან". მეზობელი სახელმწიფოდან მოწოდებული ქსოვილებით თბილისელი ხელოსნები შეუდგნენ ლამაზი ქვედატანისა და შორტების დამზადებას.

სულ მალე თურქეთიდან შემოვა ახალი ქსოვილები, რომელთაგან გათვალისწინებულია ორიგინალური საბავშვო კოსტიუმების შეკერვა, რომლებიც ადგილობრივმა დიზაინერებმა შეიმუშავეს.

მიმდინარე წლის დამლევამდე საწარმოში დაინერგება ოცამდე მოდელის ტანსაცმელი, რომელთა ფასი შედარებით ზომიერი იქნება.

• • •

სურათებზე: მკერავი მაყვალა გონაშვილი სამუშაო ცვლაში მაღალი ხარისხის სულ ცოტა 400 ნაწარმს უშვებს; სრული უკუგებით მუშაობენ მკერავები ბელა რომელაშვილი, თეა ბასილაშვილი და ნინო კანდელაკი.

იური რიდალევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრობლემა

მეაბრეშუმეობა ხელიდან გვეცლება

სამინისტრო ეძებს გამოსავალს

ოთარ ხუციშვილი.

ამბობენ, ქართული მეაბრეშუმეობის ტრადიციები მეხუთე საუკუნიდან იღებსო სათავეს. კარგია, რომ ზოგჯერ ისტორიას ვიხსენებთ, მაგრამ საკითხავია, იმ ტრადიციებიდან დღეს ხელთ რაღა შემოგვრჩა? თითქმის არაფერი. თვალს ნუ დავუხუჭავთ, მეაბრეშუმეობა, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ბევრი სხვა დარგი, სულს ღაფავს და შველას ითხოვს.

მიზეზი? — იგი ძალზე ბევრია. უპირველესი კი ის გახლავთ, რომ განადგურდა, გაუდაბურდა თუთისა ნარგაობანი. სადღა ნახავთ სოფლად მოშრიალე თუთის პლანტაციებს. ბევრგან ისინი ამოძირკეს, ბევრგან კი მიწას თუთის ხმელი ძირებიღა შემორჩა. რა დასამალია, პლანტაციებში მეჩხერიანობა 60-70 პროცენტია. თუ ამას დავუმატებთ მიკროპლაზმური ფოთლის სიხუჭუჭის დაავადებით განადგურებულ დასავლეთ საქართველოს პლანტაციებს, გამოდის, რომ რესპუბლიკაში არსებული აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის 60 პროცენტი განადგურებულია. როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ მეაბრეშუმეობის წინსვლაზე, როცა არსებული 19 მილიონი ძირი თუთიდან, საკვებმომცემია 10 მილიონი, ხოლო ნამყენია საერთო რაოდენობის მხოლოდ 30 პროცენტი.

ვფიქრობდით, იქნებ მიწის პრივატიზაციას, სოფლად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებას ნაწილობრივ მაინც ეშველა ამ საქმისთვის, მაგრამ იქიდან საგანგაშო სიგნალები მოდის. გლეხმა ნაჯახი აიღო და პლანტაციებს შეუტია, რადგან მას დღემდე პატრონი არ გამოუჩნდა. სავარაუდო მონაცემებით, აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის თითქმის მესამედი განადგურებულია. ეს უკვე კატასტროფის ტოლფასია.

შედეგიც სავალალოა — უკანასკნელი 25 წლის მანძილზე რესპუბლიკაში აბრეშუმის პარკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები სულ უფრო მცირდება. კერძოდ, თუ 1964 წელს 4400 ტონა ნედლი აბრეშუმის პარკი დამზადდა, შარშან — მხოლოდ 1100 ტონა. ამასთან ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე არ გამოუყვანიათ აბრეშუმის ჭიის ვარგისი ჯიში. ძველისძველი ჯიშები კი ყოველწლიურად კარგავენ მოსავლიანობისა და აბრეშუმიანობის თვისებებს.

გული აიყარა მეაბრეშუმემაც, რომელსაც არც მაღალპროდუქტიული აბრეშუმის ჭია ჰყავს, არც საკვები ბაზა აქვს და არც შრომის ღირსეულ ანაზღაურება. მას ხომ შარშან ჩაბარებული აბრეშუმის პარკის ღირებულება დღესაც არ მიუღია. ამიტომ მეაბრეშუმეთა რიგები და, შესაბამისად, აბრეშუმის პარკის რესურსები რესპუბლიკაში დღითიდღე მცირდება, დარგს კატასტროფის საშიშროება ემუქრება.

ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა აბრეშუმის წარმოების სამრეწველო პოტენციალის განვითარებაზე. რესპუბლიკის აბრეშუმის მრეწველობის სისტემაში მოქმედი ხუთი ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკიდან უნედლეულობის გამო ვერც ერთი გამართულად ვერ მუშაობს. მათ წლიურად 1700 ტონა ხმელი აბრეშუმის პარკის გადამუშავება შეუძლიათ, შარშან კი მხოლოდ 400 ტონა დამზადდა. ეს რაოდენობა სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში მხოლოდ ერთ ან ორ ფაბრიკას თუ ეყოფა. უფრო მეტიც, დღეისათვის ფაბრიკები შუა აზიის რესპუბლიკებიდან შემოტანილი ნედლეულით (20-25 პროცენტის დატვირთვით) მუშაობენ. ეს იმ დროს, როცა რესპუბლიკაში შარშან დამზადებული აბრეშუმის პარკი ჯერაც საწყობებში აწყვია და რეალიზაციას ელოდება. ნაცნობი სურათია. იგი გაბერილი ფასების კანონზომიერი შედეგია. წარმოიდგინეთ, მეაბრეშუმეობის საწარმოო რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც შუამავალია გლეხსა და მრეწველობას შორის, ერთ კილოგრამ აბრეშუმის პარკს 650 მანეთად სთავაზობს ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკებს, საიდანაც მეაბრეშუმეების მხოლოდ 300 მანეთია. დანარჩენი თანხა? იგი ზედნადები და შუალედური რგოლის შენახვის ხარჯებით არის გაზრდილი.

ესეც არ იყოს, ჩვენი აბრეშუმის პარკი უხარისხობისა და სიძვირის გამო კონკურენციას ვერ უწევს არამც თუ საზღვარგარეთის, არამედ შუა აზიის რესპუბლიკებში დამზადებულ პარკსაც კი. შემოთავაზებული ფასით ამ ნედლეულიდან წარმოებული ერთი კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფის ფასი 6500 მანეთს აღწევს, ერთი მეტრი ქსოვილისა—1200-1300 მანეთს, ხოლო შეკერილი კაბა 6000 მანეთი დაჯდება. ბუნებრივია ასეთ ფასში შესყიდული ნედლეულიდან მრეწველობას პროდუქციის რეალიზაციაზე პერსპექტივა ეკარგება და მთლიანად დარგიც ჩიხში ექცევა.

მაინც რა ხდება აბრეშუმის მრეწველობაში, რატომ აღმოჩნდა მეაბრეშუმეობა საქართველოში გადაგვარების გზაზე? — ამ საკითხზე განმარტება ვთხოვეთ რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილეს ბატონ **გურამ კიკნაძეს.**

— ამის მიზეზი, თქვა მან, დარგის განვითარებისადმი არასწორი, ყოვლად გაუმართლებელი, უპერსპექტივო და ეკონომიურად დაუსაბუთებელი სამეურნეო პოლიტიკა, საკვები და სანედლეულო ბაზისადმი არაპროფესიული მიდგომა გახლავთ. საუბედუროდ, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც თავიდან აგვაცილებდა არსებულ სიტუაციას. დახანება კი არ შეიძლება, დღეს შეცდომის დაშვების უფლება არავის აქვს.

მეაბრეშუმეობის დარგის გადარჩენის, მისი კრიზისიდან გამოყვანის მიზნით სამინისტროში შემუშავებულია წინადადებები. კერძოდ, გათვალისწინებულია აბრეშუმის წარმოებაში დასაქმებული ყველა რგოლის ნებაყოფლობის, პარტნიორობის, ერთიანი კომერციული ინტერესების საფუძველზე ასოციაციის ტიპის ორგანოში გაერთიანება. ასეთი ინტეგრაცია უზრუნველყოფს აბრეშუმის წარმოების პროცესებში (დაწყებული პარკის დამზადებიდან მზა ქსოვილის გამოშვებით დამთავრებული) ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინებას (ყოველგვარი ადმინისტრაციული ჩარევის გარეშე), შესაძლებელი ხდება მონაწილეთა ერთი ნაწილის ძალისხმევა წარიმართოს საკვები ბაზის განვითარებაზე, აბრეშუმის პარკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებაზე, ხოლო მეორე ნაწილისა — ძაფის რაოდენობისა და ხარისხის, მაღალხარისხოვანი, პრესტიჟული პროდუქციის წარმოებაზე. ამასთან, მაქსიმალურად გაიზრდება ამ დარგის განვითარებასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ადამიანების მატერიალური დაინტერესება.

რაც მთავარია, მეაბრეშუმე და თუთის პლანტაციის პატრონი უნუგეშოდ აღარ იქნებიან. მათ ექნებათ გარანტია, რომ შრომა სათანადოდ, ხელშეკრულების საფუძველზე აუნაზღაურდებათ. ასე რომ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გლეხობას მივმართო — ნუ აჩეხავენ თუთის პლანტაციებს, მოუარონ, უპატრონონ და შრომის საფასური არავითარ შემთხვევაში არ დაეკარგებათ.

მისასალმებელია, რომ სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა პრობლემის ამგვარ გადაწყვეტას და თითქმის მოიხსნა ამ საკითხზე ათწლეულების განმავლობაში არსებული ურთიერთდაპირისპირება.

ახლო მომავალში სამინისტროს გათვალისწინებული აქვს შემუშავებული წინადადებების წინასწარი განხილვისათვის რესპუბლიკის მეაბრეშუმეობის რაიონების გამგებლების, წამყვანი სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების, მრეწველობის გამოცდილ ხელმძღვანელების მოწვევა.

აქვე ვიტყვი, რომ სამინისტროში ამჟამად მუშავდება დარგის განვითარების კონცეფცია, რომლის მიზანია ინვესტიციების მოზიდვა და მათი დაბანდების გზით დარგში დასაქმებულ მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესება, მექანიზაციის და ავტომატიზაციის დონის ამაღლება, ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიის დანერგვა.

იმისათვის, რომ ქართულმა აბრეშუმმა თავისუფალ ბაზარზე გაიკვლიოს გზა და რესპუბლიკის ეკონომიკაშიც თავისი წვლილი შეიტანოს, უკვე დღეს უნდა ვიმუშაოთ მეცნიერული, კარგად მოფიქრებული პროგრამის საფუძველზე უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიის მეშვეობით დარგის ძველისძველი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღებაზე, რაც რეალურს გახდის აბრეშუმის პარკის, ძაფის, ქსოვილის მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანას.

დამყარდება კონტაქტები აბრეშუმის პარკის მოყვანა-გადამუშავებაში დაგროვილი გამოცდილების გასაზიარებლად საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, ალტერნატიული ბიოლოგიური საკვების შექმნისა და ნედლი აბრეშუმის პარკის ლაზერული სხივებით გამოშრობის ტექნოლოგიის დამუშავების დანერგვის მიზნით დაჩქარდება დარგის სამეცნიერო დაწესებულებებში დაწყებული მუშაობის ტემპი.

ნედლი აბრეშუმის პარკის, ხამი აბრეშუმის ძაფისა და ქსოვილების მახასიათებლების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასაყვანად ფართოდ გამოვიყენებთ ჩინეთისა და იაპონიის გამოცდილებას, ინდოეთში, ვიეტნამსა და ტაილანდში შექმნილი ასოციაციის მუშაობის პრაქტიკას.

• • •

რა გვეთქმის, გარდა ერთისა — ვფიქრობთ მრეწველობის სამინისტრო სწორ გზას ადგას. აბრეშუმის წარმოების კომერციული სტრუქტურების დანერგვა უდავოდ გონივრულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში თუ დარგი თავის თავს ვერ შეინახავს და მოგებასაც ვერ მიიღებს, მას ვერავითარი ენთუზიაზმი ვერ გადაარჩენს. გამოსავალი ერთია — ვისწავლოთ მაღალპროფესიული შრომა, კომერციული საქმიანობა, გამოვუშვათ და გავყიდოთ კონკურენტუნარიანი პროდუქცია — ამით საკუთარ თავსაც წავადგებით და ქვეყანასაც.

ინტერვიუ ფეხმოუცვლელობის ხელწერილდადებულ კაცთან

ზ. ლაბახუა: „უმჯობესი იქნებოდა, აფხაზებსა და ქართველებს თვითონ გაერკვიათ თავიანთი პრობლემები"

როგორც ცნობილია, 18 იანვარს აფხაზეთის გულრიფშის რაიონის მთის სოფელ საკენის მიდამოებში იძულებით დაჯდა რუსეთის მი-8 ვერტმფრენი, რომელიც ყაბარდო-ბალყარეთიდან, ტებერდიდან მიფრინავდა ტყვარჩელში ჰუმანიტარული ტვირთითურთ.

ამ ვერტმფრენის სამი პილოტი და 11 მგზავრი დააკავეს საქართველოს ხელისუფლებმა საქართველოში საჰაერო სივრცის დარღვევისათვის. დაიწყო ამ ფაქტის გამოძიება. იანვრის დამლევს — თებერვლის დამდეგს, რუსი პილოტები, 9 აფხაზი მგზავრი, მათ შორის სამი აფხაზი ტელეჟურნალისტი, გაათავისუფლეს, მანამდე კი, 20 იანვარს, გაათავისუფლეს უკრაინელი ფოტოჟურნალისტი.

ერთადერთი იმ ვერტმფრენის მგზავრთაგან, რომელიც ჯერ განთავისუფლებული არ არის, გახლავთ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე 54 წლის ზურაბ ლაბახუა. ეს აფხაზი პოლიტიკური მოღვაწე 80-იან წლებში მუშაობდა თბილისში პასუხსაგებ თანამდებობებზე, მათ შორის საქართველოს ვიცე-პრემიერის პოსტზე. სხვათა შორის, ახლა მრავალი ვარაუდობდა, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მის პირად ნაცნობობას მოჰყვებოდა მისი მალე განთავისუფლება. მაგრამ მოხდა პირიქით.

იანვრის დამლევს სოხუმში ჩვენ რამდენჯერმე ვესაუბრეთ ზურაბ ლაბახუას, რომელიც დაკავებული იყო. მაშინ მან თავი შეიკავა ინტერვიუსაგან და დაგვპირდა, ცოტა მოგვიანებით პირველი შესაძლებლობისთანავე თქვენს კითხვებზე გიპასუხებთო.

და აი, ამ დღეებში თბილისში გაიმართა ჩვენი შეხვედრა, თუმცა ჩემ მიერ დაგეგმილი ყველა შეკითხვის მიცემა ვერ მოვახერხე, თვით ზურაბ ლაბახუას არც ისე ძალიან სურდა გასცილებოდა იმ პრობლემების ფარგლებს, რომლებიც მან, ალბათ, თავისთვის დაისახა ამ ინტერვიუს წინ.

16 თებერვალს „ნეზავისიმაია გაზეტამ" ცოტაოდენი შემცირებებით გამოაქვეყნა ჟურნალისტ თენგიზ პაპაკორიას ინტერვიუ ერთ-ერთ აფხაზ პოლიტიკოსთან ბატონ ზურაბ ლაბახუასთან. გთავაზობთ ამ ინტერვიუს სრულ ტექსტს.

— როგორც იქნა, ბატონო ზურაბ, შევხვდით ერთმანეთს. თქვენი დაკავების შესახებ იყო ოფიციალური ცნობები და არცთუ ცოტა ჭორი. რას გვეტყოდით ამის თაობაზე, როგორ გრძნობთ თავს?

— ჯერ ერთი, მთავრობის ოფიციალური განცხადება ჩემი დაკავების შესახებ არ ყოფილა, იყო მხოლოდ ჟურნალისტთა ცნობები. მეორე, ჭორები რ გამიგია. საერთოდ, თავისებურ ინფორმაციულ ვაკუუმში გახლავართ, თუმცა ფიზიოლოგიურშიც ვიყავი. ბი. მეორე, ჭორები არ გამიგია. საჭმელზე სოხუმში დაკავებისას, ორ დღე-ღამეს — აქ თბილისში, რაც იყო პროტესტი ჩემს მიმართ ბრალდებებისა და ჩემი პატიმრობაში ყოფნის თვით ფაქტისა და პირობების წინააღმდეგ. შემდეგ, სოხუმშიც და თბილისშიც ამ თვალსაზრისით სიტუაცია შედარებით შერბილდა. ახლა ნორმალურად მექცევიან, ვიმყოფები ფეხმოუცვლელობის შესახებ ხელწერილის რეჟიმში.

თავს როგორ ვგრძნობ? სამწუხაროდ, თავს იჩენს შაქრის დიაბეტი, ხოლო სტრესები, როგორც მოგეხსენებათ, მისი ხელშემწყობი ნიადაგია.

— დავუბრუნდეთ ვერტმფრენის ამბავს. საქართველოს ხელისუფალთა აზრი ამის თაობაზე საზოგადოებრიობისათვის ცნობილია. თქვენ თვითონ როგორ აფასებთ მომხდარ ამბავს?

— თქვენ იცით, გამოძიებაზეც კი თავი შევიკავე ჩვენებების მიცემისაგან. მე სწორად გამიგეს, რადგან ჩემთან დაკავშირებული შემთხვევა ჩვეულებრივი არ არის (მომიტევეთ კადნიერებისათვის), ამიტომაც მას სხვაგვარად უნდა მივუდგეთ. თქვენ ასე გეტყვით.

ჩემთან დაკავშირებული ის გაუგებრობა, სამხედრო-პოლიტიკური ელფერი რომ დაჰკრავს, ჯერჯერობით არ მინდა დაწვრილებით განვმარტო, ჯერჯერობით თავს შევიკავებ ამისაგან. ვითვალისწინებ რა, რომ ამაში ერკვევიან, როგორც მე მგონია, პროფესიონალები და ობიექტური ადამიანები (თუმცა ომი მიმდინარეობს), ვიმედოვნებ, რომ უახლოეს ხანს ყველაფერი თავის ადგილს დაიკავებს სამართლიანობის, მშვიდობისა და ჰუმანურობის კანონებით. თუმცა ამასთანავე აღმაშფოთებს სოხუმში ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირის მხრივ მომხდარი ფაქტის შეფასება.

შემდეგ დავაზუსტებ სამ მომენტს: ჯერ ერთი, ვერტმფრენის რეისი წმინდა ჰუმანიტარული იყო. მეორე, იგი იძულებული იყო დამჯდარიყო არა ტექნიკური უწესივრობის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი ჩამოაგდეს, და მხოლოდ პილოტების ვირტუოზულმა ოსტატობამ გვიხსნა ყველანი. მესამე, ჩვენი დატყვევების შემდეგ დამეკარგა არც თუ ცოტა პენსიონერების, ავადმყოფებისა და მოშიმშილეებისათვის გათვალისწინებული ფული. ვიმედოვნებ, რომ საგამოძიებო ორგანოები ყველაფერს იღონებენ, რათა ფულმა მიაღწიოს ადრესატებამდე (კომპეტენტური ორგანოების მუშაკებმა, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას, გვაცნობეს, რომ ვერტმფრენავში არ აღმოუჩენიათ დოკუმენტები ფულის არსებობისა და დანიშნულების შესახებ— თ. პ.).

ახლა კი რამდენიმე სიტყვა ბლოკადაში მოქცეული ტყვარჩელისა და ოჩამჩირელი ლტოლვილებისადმი ჰუმანიტარული დახმარების გამო. ამ იდეაზე დიდხანს ფიქრობდნენ მოსკოვში ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში. რუსეთის ხელმძღვანელობამ ამით თავისი ჰუმანური ინიციატივა გამოავლინა. მას ჩვენ, შეიძლება, იმ ეტაპზე მთლად ოფიციალურ დონეზე არ განვიხილავდით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკთან.

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ ამ ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციის დაწყების შესახებ ტყვარჩელში მომისწრო იანვრის პირველ რიცხვებში. იგი, ბუნებრივია, დიდი აღფრთოვანებით, გულწრფელი მადლიერებითა და სიცოცხლის იმედით აღიქვა მოსახლეობამ. ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ ამ რთული მისიის ორგანიზაციას სჭირდება დიდი ძალისხმევა და დრო. შეიძლება გავუგოთ ავადმყოფ და მშიერ ადამიანებს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც ასეთი მოუთმენლობით ელოდნენ რაც შეიძლება სწრაფად მიეღოთ საჭირო დახმარება.

(დასასრული მე-4 გვ.).

საზრისი

არის კი შანსი გადარჩენის?

წერილი მესამე

აკაკი ვასაძე

ჩვენი „გადარჩენის" მეორე პრაქტიკული შანსი, წინა ორ წერილში, უნებურად, გამოიკვეთა კიდეც, როდესაც ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ მოვლენებზე ვმსჯელობდით.

ის ფაქტი, რომ დეკემბერ-იანვრის კატასტროფით გაოგნებული, უსაშველობის განმცდელი ხალხის ცნობიერებაში ედუარდ შევარდნაძის პიროვნება დაფიქსირდა „შემძლე მშველელის" ისეთ ხატად, რომელშიც სიმბოლური გარდატეხა ჰპოვა ხალხის „სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტმა" — ის ფაქტიც, რომ ამ ხატისმიერი მიმართულებით შესაძლებელი გახდა შეიარაღებულ „ზვიადისტებს" და „ანტიზვიადისტებს" შორის მომწიფებული მასშტაბური სისხლისმღვრელი ჯახის განმუხტვა — ის ფაქტიც, რომ, უაღრესად რთულ პირობებში და უმოკლეს ვადაში, ამავე ხატისმიერი მიმართულებით ჩატარდა 1992 წლის არჩევნები, — თავისთავად მოწმობს, რომ ედუარდ შევარდნაძის ფენომენი უძლიერესი რეალური ფაქტორია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამჟამინდელ ავბედით პროცესებში.

მართალია, ქვეყნის შენებისა თუ ნგრევის ბედს განსაზღვრავს ისტორიულად კანონზომიერი პროცესები და ხალხის მდგომარეობა, მაგრამ თვით ბედის აღსრულებაში გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებენ პიროვნებები. ხანდახან ასეთი პიროვნებები სრულიად „მოულოდნელ" სიტუაციებში ჩნდებიან. ამასთან დაკავშირებით, მკითხველს მინდა შევახსენო, ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამდე, ჩემს მიერ თქმული ზოგიერთი მოსაზრება:

„...დღეს საქმე საქართველოს, ქართველი ხალხის გადარჩენაზეა. უფსკრულიდან ჩვენს ამოსვლაზეა. შევარდნაძე კი ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც ძალუძს არა თუ დახმარება, არამედ უდიდესი როლის აღსრულება საქართველოსთვის. პოლიტიკის სფეროში დღეს იგი ისეთივეა, როგორც ხელოვნებაში ტალანტი. ამიტომ, მასზე მსჯელობა მეშჩანურ-ობივატელურ დონეზე, უბრალოდ, დიდი შეცდომაა. განა შესაძლებელია ტალანტის ქცევის განსჯა ჩვეულებრივი, ყოფითი შეფასებებით?... და ისე, როგორც დიდ ხელოვანს, დიდ პოლიტიკოსსაც აქვს მოღვაწეობის განსხვავებული პერიოდები. განსხვავებულ პერიოდებში, სახეცვლილების ჟამს, პიროვნება კი არ იცვლება, არამედ შეფასებითი პოზიცია, სტილი. ოთხმოციანი წლებისთვის მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკურ მოღვაწედ წარმოჩენილი შევარდნაძის „სტილის" შეფასება სამოცდაათიან წლებში საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად მყოფი შევარდნაძის „სტილით" — შეუძლებელია და მცდარიცაა...

...ჩვენ, მაინც, პარადოქსების და ფანტასტიკის ხალხად და ქვეყნად ვრჩებით. განა ესეც პარადოქსი არ არის, ასეთნაირად დაბეჩავებულებს მსოფლიო მასშტაბის უძლიერესი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკოსი რომ გვყავს..." (გაზ. „მამული", №4 (59), 1992 წ.).

ის ფაქტი, რომ ქართველობამ მეოცე საუკუნეშიც შვა ხელოვნების, მეცნიერების და თვით პოლიტიკის სფეროშიც მთელი წყება უძლიერესი პიროვნებებისა, ადასტურებს ქართველობის წიაღში ჯერაც შერჩენილ სასიცოცხლო-შემოქმედებით ენერგიას. თუ რა კავშირია ხალხის სულსა, ქვეყნის ისტორიული განვითარების კანონზომიერებასა და პიროვნებას შორის — ეს ცალკე და ფრიად რთული მსჯელობის საგანია. მე ეს საკითხი მხოლოდ მოვნიშნე ამ რამდენიმე თვის წინათ (იხ. გაზ. „მამული", №19, 1992 წ.) და მასზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. აღვნიშნავ მხოლოდ: პიროვნება ყოველთვის გადამწყვეტი იყო და იქნება ყველგან და ყველაფერში.

• • •

ყველა ქვეყნის საზოგადოების ერთი ნაწილი მხარს უბამს, ხოლო მეორე — უპირისპირდება სახელმწიფოებრივ-უფლებრივად ამაღლებულ პიროვნებას. ასეა ეს ჩვენთანაც, ოღონდ — მეტისმეტად გამკვეთრებული ფორმით, რასაც თავისი ისტორიულ-ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს. ერთგულნი და აღმსრულებელნი აუცილებელია სახელმწიფო მესვეურის პოზიციის განსამტკიცებლად, მაგრამ, უფრო მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებელია ოპოზიცია. ოპოზიცია აფხიზლებს, მუდამ მზად ამყოფებს სახელმწიფო მესვეურს და მთლიანად ხელისუფლებას. ცხადია, აქ ითქმის ისეთ ოპოზიციაზე, რომელიც ხელისუფლებას სუბიექტური ინტერესებით, უმეცრებით, წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულებით კი არა, საქმის ცოდნით და ღრმად გაცნობიერებული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი იდეით უპირისპირდება.

ედუარდ შევარდნაძის მესვეურობით მოქმედი ხელისუფლებისადმი ოპოზიციაში, საბედნიეროდ, გამოიკვეთა მართლად, გონივრულად და ქვეყნის ბედზე ზრუნვით განმსჯელი ნაწილი, მაგრამ გაცილებით დიდი და მრავალრიცხოვანია ის ნაწილი, რომელიც შებოჭილია „სუბიექტივიზმის ტყუილით". სულ უბრალო ხალხის თვალშიც აშკარა გახდა, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი სრულიად მოკლებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობის უნარს და იბრძვის პირადი ინტერესებიდან და სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე, და როდესაც ოპოზიცია „სუბიექტივიზმის ტყუილით" არის შებოჭილი, მაშინ მისი ბრძოლა წარმოებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ობიექტური ვითარებების ცალმხრივი შეფასებებითა და ზერელე ბრალდებებით.

კერძოდ, როდესაც ედუარდ შევარდნაძეს აბრალებდნენ და აბრალებენ „ზვიად გამსახურდიასთან ალიანსს", „დეკემბერ-იანვრის სისხლისმღვრელი კატასტროფის მოწყობაში სიგუა-კიტოვანთან თანამზრახველობას და იარაღით მათ მომარაგებას", „სამაჩაბლოს გაყიდვას", „აფხაზეთის გაყიდვას", „აფხაზეთში საომარი ვითარების ხელოვნურად გაგრძელებას", „საქართველოს რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცევის განზრახვას" და, საერთოდ, „რუსეთის იმპერიის აგენტობას" — ყველა ეს ბრალდება არა მარტო დაუსაბუთებელი, არამედ ფაქტების საწინააღმდეგოა. ფაქტები იმას მოწმობს, რომ რუსეთის ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა და არ აძლევს საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკურ სარბიელზე ედუარდ შევარდნაძის აქტიურად ჩართვა, რაც მე ობიექტური მონაცემებიდან გამომდინარე, რამდენიმეგზის განმიმარტავს. მეტიც: ფაქტები მოწმობენ, რომ დღეს არავინაა ედუარდ შევარდნაძის ისეთი გამძვინვარებული მტერი, როგორც „რეაქციული რუსეთია", და ვინც იმასაც ვერ იაზრებს, რომ ედუარდ შევარდნაძის ბოლოდროინდელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ალიანსები რუსეთთან, ძირითადად, იძულებითია, განპირობებულია ჩვენივე საქართველოს შიდა მოუგვარებლობით და ნაკარნახევია ქართველობის რამენაირად გადარჩენის გზათა ძიებით, ესე იგი უთუოდ, უმეცრების და „სუბიექტივიზმის ტყუილით" შებოჭილობის შედეგია.

„სუბიექტივიზმის ტყუილით" მოქმედი ოპოზიცია ზემოხსენებულ და მრავალ სხვა ბრალდებას აფუძნებს ედუარდ შევარდნაძის „კომუნისტურ" წარსულზე. ეს რომ ამ რანგის პოლიტიკური ფიგურის შესაფასებლად მცდარი პოზიციაა — ამაზე უკვე ვთქვი. კიდევ უფრო მცდარი ხდება ასეთი შეფასებითი პოზიცია მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძემ, რამდენჯერმე, არათუ აღიარა, არამედ დაგმო თავისი ძველი „შეცდომები", მადლობა უთხრა ნდობისთვის ქართველ ხალხს და განაცხადა, რომ მთელ ძალ-ღონეს შეალევს საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა-აღორძინების მსახურებას. სხვაც მრავალი თქვა საგულისხმო წმინდად აღმსარებლობითი ხასიათით და ამითაც დაადასტურა თავისი პიროვნული ძალა. ასეთი აღმსარებლობითი თვითგამოვლენა მხოლოდ პიროვნებას ძალუძს.

გამოვტყდები, ასეთი გაბედული თვითგამოვლენის აღმსარებლობითი აქტებით ედუარდ შევარდნაძემ პირადად ჩემში განამტკიცა მისდამი ნდობა და რწმენა, რომელიც მისი წიგნის „ჩემი არჩევანი..." წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა. ამიტომ იყო, ჯერ კიდევ საქართველოში მის ჩამოსვლამდე, როდესაც დამისვეს ასეთი შეკითხვა — ვაი თუ შევარდნაძე საქართველოში ჩამოსვლას აპირებს იმისთვის, რომ კვლავ რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოაქციოს საქართველო, მე ვუპასუხე:

„ისედაც ჩაძირულები ვართ და საკუთარი ქვეყნის მესაფლავის როლს არც ერთი ჭკუათმყოფელი თვით საშუალო რანგის ავანტიურისტი პოლიტიკოსიც არ იკისრებს. რუსეთს ჩვენს გადასაყლაპავად შევარდნაძის გამოგზავნა რად დასჭირდებოდა, ისედაც უკვე მის ლუკმად ვართ გამზადებულნი" (გაზ. „მამული", №4, 1992 წ.). იქვე მოვიტანე რამდენიმე მოსაზრება ასეთი შეფასებითი პოზიციის გასამართავად და ესეც აღვნიშნე: „საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების მისია უნდა გულისხმობდეს „ლიბერალური პოლიტიკური კურსის გატარებას, საქართველოს სახელმწიფოებრივი განმტკიცების მეშვეობით მთლიანად ამიერკავკასიის გადაქცევას უსაფრთხოების და დემოკრატიის პლაცდარმად აზიასთან ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე, გეოპოლიტიკურად ამ ძალზე მნიშვნელოვან რეგიონში".

ფაქტები მოწმობენ, რომ ედუარდ შევარდნაძე სწორედ ასეთი კურსის გატარებას შეუდგა საქართველოში და დღეისთვის გაცილებით მეტი შედეგები იქნებოდა სახეზე, გაცილებით მოლოდინებულნი ვიქნებოდით, რეაქციული რუსეთის სამტრო აქციების პარალელურად და, მასზე მეტადაც, თვით საქართველოში ავბედითი აღრეულობა და უმეცრება რომ არ გვძირავდეს.

შესაძლოა, ჩემი შეფასებითი პოზიცია მცდარია, მაგრამ, დამანახეთ სხვა სიმართლე და საფუძვლიანად წარმოაჩინეთ შევარდნაძის ამჟამინდელი მტრობა ქართველი ხალხისა.

• • •

წინააღმდეგობა, რომელიც ფსიქოლოგიურად განსაზღვრავს რადიკალური ოპოზიციის პოლიტიკურ დაპირისპირებას ედუარდ შევარდნაძესთან — რომ გამოვრიცხოთ სუბიექტური მოტივები — ეს არის წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ნაციონალურ-რომანტიკულ და, მეორე მხრივ, ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმართულებებს შორის.

შესაძლოა, ეს პოლიტიკური მიმართულებები მკითხველთა გარკვეულ ნაწილს და, მათ შორის, რადიკალური ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს კარგად გაცნობიერებული არა აქვს და, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, მოკლედ განვმარტავ ვითარებებს:

ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა თავიდანვე განვითარდა რომანტიკულ-ნაციონალისტური პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით; ეს იყო კანონზომიერი რეაქცია საბჭოურ სისტემაზე და დიქტატურაზე. ოღონდ, ასეთი რეაქციის კანონზომიერება არ გამორიცხავს ამჟამინდელი მსოფლიო პოლიტიკის სინამდვილესთან მის შეუსაბამობას. კერძოდ:

რომანტიკულ-ნაციონალისტური მიმართულება განმსჭვალულია ისეთი ინდივიდუალიზმით, რომელიც იპყრობს არა მარტო ინტელექტუალურ, არამედ მასების ვნებათა სფეროსაც. ნიცშეს და კარლეილის შექმნილი „გმირის კულტი" ტიპიურია რომანტიკულ-ნაციონალისტური პოლიტიკური ფილოსოფიისათვის. რაც მთავარია, აქ მძაფრი მგრძნობელობით აღზევებულია ნაციონალიზმის სახელით სისხლისმღვრელი ჯახის უფლება და გაცხადებულია დიდებულება ომისა „თავისუფლების" დასაცავად.

ამ ფილოსოფიის ეთიკა ვნების ძალას კეთილგონიერებაზე მაღლა აყენებს, უშიშრობას — შემწყნარებლობაზე, „ამაღლებულისთვის ატანილობით ტანჯვას" — ცხოვრების ბედნიერებაზე...

ამ მიმართულების აღმტაცი პოეტი იყო ბაირონი, ხოლო ფიხტე, კარლეილი და ნიცშე იყვნენ ფილოსოფიაში ამ მიმართულების დამამკვიდრებლები. ეს არის ფილოსოფიურ-პოლიტიკური მიმართულება „ქარიშხლისა და შეტევის", რომელსაც მესვეურობს ზეადამიანური ძალის „ამაღლებული მიზნით ატანილი" გმირი-ბელადი.

პოეზიაში და ფილოსოფიაში ეს მიმართულება მრავლის მხრივ აღმტაცი და გასაზიარებელია. ოღონდ, ხალხებისა და ქვეყნების ცხოვრების სინამდვილეში ასეთი მიმართულების გატარებას, ხშირად, ავბედითი პროცესები გამოუწვევია და სრულიად საპირისპირო შედეგები მოჰყოლია. კერძოდ, აღუძრავს მძულვარება, დაუნდობლობა, შურისძიება და, საერთოდ, უსაშინლესი ანარქია, რომელსაც უცილობლად მოჰყვებოდა დესპოტურ-დიქტატორული მმართველობა რომელიმე „იდეალური გმირისა"; და მას, ხელისუფლებაში გამძლავრებულს, ყოველთვის დაუწყია ხალხში იმ „თავისუფლების" და იმ „პიროვნული თვითგამოხატვების უფლების" ჩახშობა, რომელსაც, ადრე, თვითონ ქადაგებდა და რომელთა მეშვეობით თვითონ აღზევებულა. ეს მიმართულება, სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვა ქვეყნებში და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებებში, განსხვავებული ფორმით ვლინდებოდა. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, რომანტიკულ-ნაციონალისტური პოლიტიკური „იდეა" და პრაქტიკაში მისი გამოვლენის ფორმა ურთიერთგამომრიცხველი აღმოჩნდა. ამის ისტორიული მაგალითებია კრომველი, ლენინი, ჰიტლერი და მათი დესპოტურ-დიქტატორული მმართველობის ხანა; თანამედროვეობაში ამ მიმართულებით იმართება სადამ ჰუსეინის ერაყი და ამავე მიმართულებით მიმდინარეობს ბრძოლები (უფრო ზუსტად რომ განვსაზღვროთ, ანარქიული ხასიათის სისხლისმღვრელი ომები) ყოფილი იუგოსლავიის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში.

ამ მიმართულებამ, როგორც ფაქტები მოწმობენ, საკუთრივ ქართველობა და საქართველო დაღუპვის კართან მიგვიყვანა და, თუ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ „ბრძოლას" —გადარჩენა არ გვიწერია. ფაქტები მოწმობენ იმასაც, რომ რომანტიკულ-ნაციონალისტური მიმართულებით განვითარებადი ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, არსებითად, თავიდანვე მარცხისთვის იყო განზადებული. და აი, რატომ:

როდესაც, კომპარტიის დამხობის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების სადავე ხელთ იპყრო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამძლავრებულმა ფრთამ ზვიად გამსახურდიას მესვეურობით, და როდესაც ზვიად გამსახურდიამ სცადა დიქტატორული რეჟიმის დამყარება ანარქიის აღსაკვეთად — ის თეორიულად სავსებით სწორი იყო, როგორც რომანტიკულ-ნაციონალისტური მიმართულების ერთი უმთავრესი იდეოლოგი. მიუხედავად თეორიული სისწორისა, მის მიზანს აღსრულება არ ეწერა; და არა მარტო სუბიექტური მიზეზების გამო (რომ თვითონ ზვიად გამსახურდია მოკლებული იყო გმირი-ბელადის აუცილებელ პიროვნულ თვისებებს) არამედ, უმთავრესად, ობიექტური ვითარებების გამო, რომელსაც, სამწუხაროდ, ისიც არ ითვალისწინებდა. მე აქ მხოლოდ რამდენიმე ობიექტურ ვითარებას დავასახელებ:

1) ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მხოლოდ საქართველოს კომპარტია დაამხო და მთავარი, ნამდვილი მტრისგან („ცენტრისა" და მისი ჯარებისგან) კი ვერ იხსნა თავი, რის შედეგად, საერთო ჯამში, ხელისუფლებისთვის ბრძოლა გამოუვიდა იმავე ძველი „მპყრობელის" ხელქვეით მორჩილებაში; ამის შედეგადაც, არ არსებობდა იმისთვის საჭირო ეროვნული სამხედრო ძალა, რომ თუნდაც საკუთარი მოსახლეობისთვის დაეწესებინა დიქტატორული რეჟიმი და, ამით, ყველანაირი ანარქიული და პოლიტიკურ-სეპარატისტული აღრეულობა აღეკვეთა;

2) „ცენტრი" თავისი ჯარებით და თავისი მრავალრიცხოვანი აგენტურით ფლობდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კოლიზიების სარბიელს, რის შედეგად, საქართველოს პრეზიდენტი, ნებით თუ უნებურად, ხდებოდა რუსეთის იმპერიის მარიონეტი, — მისი მმართველობის დიაპაზონს კვლავინდებურად „კრემლი" განსაზღვრავდა და თუკი პრეზიდენტი მოინდომებდა საკუთარი პოლიტიკის გატარებას, მაშინვე ხაფანგში მოაქცევდა (აკი ასეც მოხდა!);

3) საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგია არ ქმნიდა რომანტიკულ-ნაციონალისტური იდეის დამკვიდრებისა და ატაცებისათვის საჭირო ნიადაგს და, რაც კიდევ უფრო უარესი — ეროვნულ ხელისუფლებაში ახალწვეულთა და განდიდებულთა დიდი უმრავლესობა, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, პრეზიდენტს და რომანტიკულ-ნაციონალისტურ იდეას კი არა, საკუთარ ამბიციებს და გამრუდებულ სოციალურ მოთხოვნილებათა განაღდებას მსახურებდა.

4) მეოთხე და უმთავრესი ის არის, რომ ცივილიზებული სამყაროს პოლიტიკა და, მაშასადამე, გაეროც სანდოდ არ ცნობს რომანტიკულ-ნაციონალისტური ბრძოლის პოლიტიკურ ფილოსოფიას და დახმარების ხელს არ გაუწვდიდა დიქტატორული რეჟიმისკენ მიდრეკილ საქართველოს ხელისუფლებას.

ეს ის ობიექტური ფაქტორებია, რომლისთვისაც ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს უნდა გაეწიათ ანგარიში და მათი გათვალისწინებით ერთგვარი კორექტირება უნდა მოეხდინათ მოძრაობის სამომავლოდ გასავითარებელი კურსისა ჯერ კიდევ კომპარტიის საბოლოო ლიკვიდაციამდე. ირონიულად კი აფასებდნენ და უარყოფდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიბერალურ კურსს, მაგრამ — სწორედ ისინი დაუსხლტნენ იმპერიის მარწუხებიდან, ხოლო ჩვენ, დღემდე, იქვე ვართ და სულსაც ვღაფავთ.

იყო თუ არა სხვა გზა, სხვა გზა ბრძოლის გაგრძელებისა, თუნდაც 9 აპრილის შემდეგ? ცხადია, — იყო. თუმცა, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს.

ფაქტი ისაა, რომ რომანტიკულ-ნაციონალისტური მიმართულებით ჩვენმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ კრახი განიცადა.

ამჟამინდელი რადიკალური ოპოზიცია, ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს დაპირისპირებული, ცდილობს კვლავ რომანტიკულ-ნაციონალისტური მიმართულებით ბრძოლის გაგრძელებას. ეს კი ძალიან ჰგავს ჩხუბის გასრულების შემდეგ დამარცხებულთა ხელების ქნევას. მართალია, მათ სულ სხვა მოტივებიც ამოძრავებთ, მაგრამ, რატომ ავიწყდებათ, რომ, როგორც წინათ, ახლაც სახეზეა „იმპერიაც" და მისი აგენტურაც. ის უწინდელზე მზაკვრული, თვით ყველაზე აკრძალული ილეთებითაც ცდილობს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების ამჟერად შევარდნაძისეული კურსის ჩაშლას, რადგან ხედავს — ეს ჩვენი ეროვნული ხსნის ყველაზე რეალური კურსია; და, ასეთ დროს, რატომ ივიწყებენ „რეაქციულ რუსეთად" ტრანსფორმირებული საბჭოთა იმპერიის „ცენტრის" მონახაზს, რომელშიც არაერთხელ აღმოჩენილან — რად არ ითვალისწინებენ მათთვის გამზადებულ ხაფანგებს. განა გამორიცხულია, რადიკალური ოპოზიცია კვლავინდებურად მტრის გეგმარით ამოქმედდეს და, ნებით თუ უნებურად, საქართველოს და ქართველების ჩაძირვის მიზნების აღმსრულებელი „იმპერიის აგენტურის" მონაწილე გახდეს, პირდაპირ ვიტყვი: გარედან ეს უკვე ასე მოჩანს.

მით უმეტეს, დღეს, საქართველოს შიგნიდანაც და გარედანაც, დამანგრეველ ძალთა მძვინვარების პერიოდში — რომანტიკულ-ნაციონალისტური მიმართულებით ბრძოლის ბუტაფორული წამოწყება, ან საქვეყნო ცოდვის ავანტიურაა (თუ შეუგნებლად, განუზრახველად ხდება ეს) ან კიდევ უმეცრება და ეროვნული ლოზუნგებით სპეკულაცია.

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა — პოლიტიკას საჭიროებს. პოლიტიკა კი საჭიროებს ეტაპობრივად გეზის შეცვლას და კონკრეტული სიტუაციების შესაბამისად მის კორექტირებას.

• • •

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისთვის ბრძოლა, ამჟერად, სხვა მიმართულებით ვითარდება. ეს არის პოლიტიკური ლიბერალიზმის მიმართულება, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევით ისახება ამჟამინდელ ხელისუფლებაში და მკვიდრდება, როგორც საქართველოს შიდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე საგარეო ურთიერთობებში. ეს ის პოლიტიკური მიმართულებაა, რომელსაც ცნობს დემოკრატიული ცივილიზებული სამყარო. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მყოფი, საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობისას, ედუარდ შევარდნაძე ჩამოყალიბდა ლიბერალიზმის მრწმენ პოლიტიკოსად და, სწორედ ამიტომ იყო, რომ, როდესაც იგი ჩაუდგა სათავეში საქართველოს ხელისუფლებას და დემოკრატიულ მმართველობას დაუდო დასაბამი — მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელმა სახელმწიფოებმა და გაერომაც სცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა: სცნო ედუარდ შევარდნაძის არა როგორც ინდივიდის, როგორც ნაცნობ-მეგობრის, არამედ, როგორც ლიბერალიზმის პრინციპთა აღიარებული პოლიტიკოსის ნდობით!

ეს ფაქტი ცხადლივ მოწმობს, რომ პოლიტიკური მიმართულება, რომლის გატარებასაც თავიდანვე შეუდგა ედუარდ შევარდნაძე, არის სწორი და რომ ამ მიმართულებით შესაძლებელი გახდება ქართველობის ცოცხლად გამოყვანა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობით გამოხსნა საბჭოთა იმპერიის ნანგრევებიდან თვით ამ უზნეკრულის ვითარებაშიც.

ლიბერალიზმის ეთიკა დაშენებულია იმ ფილოსოფოსთა (სპინოზა, ლოკი, კანტი...) მოძღვრებებზე, რომლებშიც ადამიანური სამყაროს და სიცოცხლის სიყვარული ღვთიურ მოთხოვნას შეესაბამება. ამიტომაც, ის აღიარებს ადამიანური ცხოვრების ბედნიერებას და ადამიანში კეთილმოსურნეობის პრიმატს. იგი ადამიანისგან მოითხოვს არა მძლავრი ვნებით აღძრულ ჰეროიზმს, არამედ სამართლიანობის გონივრული გადაწყვეტით გასრულებულ პიროვნულ სიმტკიცეს. ლიბერალიზმი გმობს ადამიანის და ხალხის მსხვერპლთშეწირვას რაგინდ ამაღლებული მიზნის განსახორციელებლად, — უარყოფს ომის აუცილებლობას რაგინდ რთული საკითხის გადასაწყვეტად. ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მწვავე საკითხის გადაწყვეტას ის ცდილობს კონფლიქტის გამწვავების განმმუხტველი საშუალებების ძიებით. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ლიბერალიზმის პოლიტიკა თმობს პოზიციებს ქვეყნის შიდა თუ გარეთა ბოროტების წინაშე. თავისუფლების, ღირსების და სამართლიანობის პრინციპები მისთვის წმიდათაწმიდაა, ოღონდ, ბოროტებას იგი უპირისპირდება და ძლევს „ცდისა და ექსპერიმენტის" მეთოდით გამართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებებით ანუ რეფორმებით. ამასთანავე, რეფორმას იგი ცნობს თანდათანობითს და არა უეცარს, ძალისმიერი „აფეთქებით" განსახორციელებელს. ეს უკანასკნელი უარყოფილია იმდენად, რამდენადაც, ძალისმიერი „აფეთქება" თავის მხრივ იწვევს და ჰბადებს მრავალ ბოროტებას.

ლიბერალიზმის მიმართულება მოიცავს მრავალ ისეთ მხარეს, ანუ პრინციპს, რომელთაგან ზოგი (თანაც, უმთავრესი) საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ძველადაც ახასიათებდა, დავით აღმაშენებლის ხანიდან მოყოლებული იმ დრომდე, ვიდრე რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოვექცეოდით.

სახელმწიფო პოლიტიკაში ლიბერალიზმი, პირველყოვლისა, გულისხმობს შემწყნარებლობას სხვადასხვა რელიგიისადმი; ქვეყნის მოსახლეობის შემადგენელი ეთნიკური ჯგუფების უფლებამოსილებისა და ინტერესების გაზიარებას; უარყოფს დიქტატურას; ამკვიდრებს ჰუმანისტურ-დემოკრატიული ხასიათის მმართველობას; აღიარებს კერძო საკუთრებას და ფართო ასპარეზს უხსნის პიროვნულ ინიციატივას ყველა შრომით-სამოღვაწეო სფეროში; სახელმწიფო მართვაში იცავს „წონასწორობის პრინციპს" საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა გამიჯვნით; წმინდად რაცხავს პიროვნების უფლებას და აზროვნების თავისუფლებას... მოკლედ, ლიბერალიზმი მოიცავს ისეთ ჰუმანისტურ-დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებიც ვითარდებიან XVII საუკუნიდან ცივილიზებული სამყაროს ხალხთა ცხოვრებაში და რომელმაც, პირველად, ამერიკის სახელმწიფო წყობაში ჰპოვა გამოხატულება.

ლიბერალიზმის მიმართულების დამკვიდრება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამჟამინდელ პირობებში — ეს არამარტო „გადარჩენის", არამედ ჩვენი ისტორიული, ეროვნული პოლიტიკის აღდგენის გზაა, რომელიც ავბედითად აღგვიკვეცა ბოლშევიზმის დიქტატურამ. ეს ის მიმართულებაა, რომელიც ხალხის „სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტს" მსახურებს — რომელიც უცილობლად გააერთიანებს საქართველოს მოსახლეობას, თუკი ქვეყნის შიდა ხელისშემშლელი, მტრული ძალა შენელდება.

დიდი პიროვნული წონის, სახელმწიფო მართვის დიდი გამოცდილების, ხალხის მასებში არსებული ნდობისა და რწმენის, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში ლიბერალიზმის მიმართულების გატარების და იმის გამოც, რომ ყველა წამოწყებაში და ყველა საქმეში თავკაცი გადამწყვეტია — ედუარდ შევარდნაძე უძლიერეს რეალურ შანსად, ანუ ფაქტორად მესახება ჩვენი „გადარჩენისთვის", ჯერაც, არსებულ სხვა შანსებს შორის.

• • •

ცხადია, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც ჩვენი „გადარჩენის"; თუნდაც, „მართალი ოპოზიციის", თუნდაც, ამჟამინდელ ხელისუფლებაში არსებული მართალი და გონიერი ძალების სახით... მთავარია, საქართველოს და ქართველობის გადასარჩენად მოწოდებული ყველა ძალა ამოქმედდეს დასახული მიზნით და მიმართულებით; მთავარია, გაბედული სიმართლით და, გონიერებით წინ აღუდგეს (ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც) „სუბიექტივიზმის ტყუილს" იმ ძალებისა, რომლებიც ნებით თუ უნებურად, გვძირავენ.

ბოლოს და ბოლოს, ხმამაღლა უნდა ითქვას:

— კმარა, 9 აპრილიდან დღემდე, უბრალო ხალხის სისხლი პოლიტიკურ-მომხვეჭელური სპეკულაციის აღსასრულებლად!

— კმარა, ქვეყნისა და ხალხის ძარცვა-გლეჯით გამდიდრება!

— კმარა, უმეცრების და ბნელი სოციალური ლტოლვების თარეში!

— კმარა, ამდენი წვრილ-წვრილი პარტიებით მუქთახორობა!

ვინ სად გაექცევით ხალხისა და ქვეყნის ჩაძირვის ცოდვას, რა ფულით ან რომელი „პარტიული ამბიციით?!"

ნუთუ ერთ მუჭა უგვანო მედროვეებს უნდა შეეწიროს საქართველო და ქართველობა?!

ჩვენი „გადარჩენა" ჩვენშივე ავბედითად გაძლიერებული, იმპერიის მცდელობით პროვოცირებული, უმეცრებისა და ტყუილისგან განთავისუფლების გზაზე გადაწყდება.

ეს გზა დასახულია და უნდა დაძლიოს ხალხმა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქ. რესპ." № 31, 32.

ინტერვიუ ფეხმოუცვლელობის ხელწერილდადებულ კაცთან

(დასასრული)

და მხოლოდ ამიტომ, საზოგადოებრიობის დაჟინებული მოთხოვნით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის და, ასე განსაჯეთ, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიქტორ სტეფანეს ძე ჩერნომირდინის სახელზე ქალაქ ტყვარჩელის მოსახლეობისა და ოჩამჩირის რაიონის ლტოლვილთა სახელით მადლობის დეპეშები გავგზავნე და ვითხოვე დააჩქარონ გათვალისწინებული ჰუმანიტარული დახმარება და ტყვარჩელიდან ავადმყოფების, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების გახიზვნა. გულწრფელად, ადამიანურად ვწუხვარ, რომ ვიმყოფებოდი რა სხვა ორგანიზატორებთან ერთად ამ აქციის სათავეებთან (ტყვარჩელსა და სხვა ადგილებში განხორციელდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა) გარკვეული მიზეზით ვერ შევძელი მასში შემდგომ მიმეღო მონაწილეობა. ჩემი დღევანდელი მდგომარეობის სერიოზულობის მიუხედავად, ეს წუხილი სულ თან მდევს.

— 26 იანვარს — ჰუმანიტარული აქციის დაწყების დღეს — ტყვარჩელელებმა უარი თქვეს ჰუმანიტარული ტვირთის მიღებაზე, და ამასთან ერთ-ერთ მოთხოვნად წამოაყენებს ზურაბ ლაბახუას განთავისუფლება. დასაშვები იყო თუ არა საკითხის ასე დაყენება?

— რა თქმა უნდა, არა. ცალსახად არა. უთუოდ მადლობელი ვარ ტყვარჩელელებისა და ოჩამჩირელებისა (ამას ვაკონკრეტებ სიტუაციის მიხედვით) ჩემდამი დამოკიდებულებისათვის. ეს გულს მიჩუყებს და ბევრ რამეს მავალებს. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიხდი იმისათვის, რომ არაპირდაპირ გავხდი პირველ დახმარებაზე უარის თქმის მიზეზი. ეს არ შეიძლება. ჰქონდა და აქვთ ამგვარი აქციებისათვის პროტესტის სხვა ფორმები და მეთოდები და ჩემი განთავისუფლების პრობლემის გადაჭრის გზები. და უწინარეს ყოვლისა, აფხაზეთის ხელმძღვანელობას.

— უკაცრავად, კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?

— მაგალითად, პირადი თვალსაზრისით ძალზე მაოცებს არძინბას დუმილი ჩემი დაკავების გამო. მაგრამ აი სახელმწიფო-პოლიტიკური თვალსაზრისით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ჩაურევლობა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის განთავისუფლების პრობლემაში პირდაპირ მაოცებს.

ვუბრუნდები წინა პასუხის ბოლოს და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არასოდეს არ შეიძლება პოლიტიკის განხორციელება ხალხის ინტერესების ანდა თუნდაც ადამიანთა მცირე ჯგუფის ინტერესების შებღალვით. არსებითად, პრინციპში ჩემთან დაკავშირებულ ამბავში კატეგორიულად არ მიმაჩნია თავი დამნაშავედ. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ უახლოეს ხანს ჩავებმები ჰუმანიტარულ დახმარებაში და, როგორც ყოველთვის, სამშვიდობო საქმეებში.

— თქვენ რა, გაქვთ რაიმე კონკრეტული გეგმები?

— უთუოდ. და ისინი იშვა არა ამ ბოლო თვეში, არა სვანეთის მთებში (თუმცა კი ძალიან მიყვარს მთები). ჩემი გეგმები და იდეები მტკიცედ გამოვთქვი ჯერ კიდევ მოსკოვში, გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში არძინბასთან საუბრისას, ჩემი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების წრეში. მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით!

ჯერჯერობით კი ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა მზადყოფნის შესახებ მონაწილეობა მიიღონ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში, სავსებით ემთხვევა ჩემს ოფიციალურ პოლიტიკურ განცხადებას, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წლის 4 დეკემბერს გავგზავნე ფრიად მაღალ ინსტანციებში და როგორც ჯერ კიდევ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის კონტროლისა და ინსპექციის კომისიის აფხაზური ჯგუფის ხელმძღვანელი (სამწუხაროა, რომ კომისია არ მუშაობს!), მე მათ მივესალმები მშვიდობის დიდი იმედით.

თუმცა, ბოლომდე გულახდილი თუ ვიქნები, გეტყვით: უმჯობესი იქნებოდა, აფხაზებსა და ქართველებს თვითონ გაერკვიათ თავიანთი პრობლემები.

— ბატონო ზურაბ, ამ სიტყვებით თქვენ კიდევ ერთი კითხვისათვის განმაწყვეთ. მინდა შევიტყო თქვენი თვალსაზრისი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ანატომიისა და ქრონოლოგიის თაობაზე.

— ო! ეს განსაკუთრებული თემაა, დღეს რომ ყველას გვაღელვებს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკური და სამხედრო ჩიხიდან მშვიდობიანი გამოსვლის საჭიროებას. მაგრამ, მოდით, ამაზე ცოტა მოგვიანებით... არის ამის მიზეზები. რა თქმა უნდა, ნუ გადავდებთ ამას შორეული დროისათვის. ამის გპირდებით, მაგრამ არა ახლა. გთხოვთ, იცოდეთ ერთი რამ, მე ვიყავი, ვარ და ვიქნები იმ დაპირისპირების მხოლოდ მშვიდობიანი დასასრულის მომხრე, რომელიც არ სჭირდებათ აფხაზ და ქართველ ხალხებს. გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს.

— გმადლობთ საუბრისათვის. იმედი მაქვს, მომავალში უპასუხებთ ყველა ჩვენს კითხვას.

ზურაბ ლაბახუასთან საუბრის შემდეგ ჩვენ მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკებს, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას საქმის გამო. მათ ჯერჯერობით თავი შეიკავეს ოფიციალურ კომენტარზე გამოსაძიებელი ფაქტის არსის გამო. მაგრამ დაგვპირდნენ, რომ წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც აღმოჩნდა რუსეთის იმ ვერტმფრენში და ეკუთვნოდა ზურაბ ლაბახუას, პრესაში გამოქვეყნდება.

ამ ბოლო დღეებში საქართველოს ჟურნალისტთა წრეებში (და არა მარტო ჟურნალისტთა) ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ უახლოეს ხანს ზურაბ ლაბახუას გაათავისუფლებენ იმის სანაცვლოდ, რომ აფხაზთა მხარე საქართველოს წარმომადგენლებს გადასცემს ქართველ მფრინავს ნადირაშვილს. მისი თვითმფრინავი სუ-25 ამა წლის 6 თებერვალს ჩამოაგდეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულის მიდამოებში, ხოლო თვით მფრინავი პარაშუტით დაეშვა და ტყვედ ჩაუვარდა აფხაზთა ფორმირებებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ ბოლო დღეებში აფხაზთა და ქართველთა წარმომადგენლებმა მოსინჯეს ნიადაგი ნადირაშვილზე ლაბახუას შესაძლო გაცვლისთვის, თუმცა გამორიცხული არ არის მოვლენათა სხვა მსვლელობაც.

საუბარს უძღვებოდა
თენგიზ ბაჭკორია.
თბილისი.
1993 წლის 14-15 თებერვალი.

პარტიებსა და მოძრაობებში

საზოგადოება „მგრისის" მიმართვა

სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და მისი დახმარება გადაუდებელი საქმეა. მრავალი სოციალურ-ეკონომიკური საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს. ასეთებია: ციტრუსების დროულად გამოტანა და რეალიზაცია, ავტობუსებისა და მატარებლების მოძრაობის მოწესრიგება, რადიოკვანძის მუშაობის აღდგენა, გაზეთების დროული მიწოდება ადგილებზე და სხვა.

ამასთან დაკავშირებით საქველმოქმედო საზოგადოება „მგრისი" თხოვნით მიმართავს ბატონებს:

1. **სოსო კარტოზიას**, „ცეკავშირის დამზადების სამმართველოს უფროსს: დაეხმაროს სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობას ციტრუსების და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებაში, ადგილებიდან გამოტანასა და ბარტერულ გაცვლებში;

2. **ფრიდონ ინჯიას**, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრს: გასცეს განკარგულება, რათა:

ა) მოწესრიგდეს რადიოკვანძის, როგორც ინფორმაციის ყველაზე ეფექტიანი საშუალების მუშაობა იქ, სადაც ამის საშუალება არის;

ბ) ამ რეგიონის ქალაქებსა თუ სოფლებს დროულად მიეწოდოთ ჟურნალ-გაზეთები.

3. **რემი ვაშაკიძეს**, საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტის უფროსს. მატარებლების მოძრაობა იყოს რეგულარული, ყურადღება მიექცეს ბილეთების გაყიდვის ორგანიზაციას, აღიკვეთოს მოლარეთა თვითნებობა. ზუგდიდის მატარებელს ჩაება ჯვარის ვაგონებიც და აღდგეს მოძრაობა ზუგდიდ-ჯვარის მონაკვეთზე.

4. **სტეფანე ასათიანს**, კონცერნ „საქსოფლნაყოფიერების" პრეზიდენტს: ხელი შეუწყოს სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობას ყველა სახის სასუქებით მომარაგებაში.

5. **გიორგი კვესიტაძეს**, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრს: სამეგრელოს რეგიონის რაიონებში შეიქმნას საიჯარო წესით მომუშავე მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რათა მოსახლეობას საშუალება მიეცეს დროულად და საჭირო მოცულობით დაამუშაოს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

6. **თემურ ხაჩიშვილს**, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს: ზუგდიდის რაიონის პოლიცია მთელი გასული წლის განმავლობაში ფაქტობრივად ოთხიოდ პოლიციელის ანაბარად იყო, რის გამოც დამნაშავეთა სამყარო თავს ნებამიშვებულად გრძნობდა და დაუსჯელად მოქმედებდა. ანალოგიური და ზოგ შემთხვევაში კიდევაც უარესი მდგომარეობაა სამეგრელოს რეგიონის სხვა რაიონებშიც. ამიტომ გადაუდებელ საქმედ უნდა იქნას მიჩნეული პოლიციის სამსახურის რაციებით, საბრძოლო ტექნიკითა და ინდივიდუალური შეიარაღებით დროული აღჭურვა, პოლიციელთა რიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდა, აგრეთვე სამოქალაქო პირების ფართოდ ჩაბმა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში და სამოქმედო ტერიტორიის თითოეული კილომეტრის გაპიროვნება. საჭიროა სატელეფონო კავშირების უზრუნველყოფა, რათა მოქალაქეს საშუალება ჰქონდეს ნებისმიერ დროს აცნობოს პოლიციას მომხდარი დანაშაულის, ანდა მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ.

7. **მურთაზ ზანდალიანს**, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრს.

არსებული შესაძლებლობების ფარგლებში კვებისა და სახალხო მოხმარების სხვა პროდუქტებით სამეგრელოს რეგიონის დროული უზრუნველყოფა.

8. **დავით ზუხიტაშვილს**, საქნავთობპროდუქტების კონცერნის თავმჯდომარეს: არსებული შესაძლებლობის და პოლიტიკური ვითარების მოგვარების შესატყვისად სამეგრელოს რეგიონისთვის ნავთობპროდუქტების მიწოდება.

9. **ირაკლი მენაღარიშვილს**, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს: ჰუმანიტარული დახმარების ფონდიდან მედიკამენტებითა და სამედიცინო ტექნიკით სამეგრელოს რეგიონის უზრუნველყოფა.

სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „მგრისის" დარბაზის დავალებით,

პროფესორი
ფარიელ სართანია.

საქართველოს სახალხო პარტიაში

ამ დღეებში საქართველოს სახალხო პარტიის (სსპ) წარმომადგენელთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის პოლიტიკური კომიტეტის ცენტრალურ კომიტეტად გარდაქმნის თაობაზე და აირჩია მისი წევრები.

პირველივე პლენუმზე მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ.

მწვავე მსჯელობის შემდეგ პლენუმი ძირითადად დაეთანხმა გამოსვლაში ჩამოყალიბებულ დებულებებს და მიიღო გადაწყვეტილება სსპ პროგრამის ახალი რედაქციის შემუშავების თაობაზე.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები. მან სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩია პროფესორი იური სიხარულიძე და დოცენტი ვალერი ძოწენიძე.

ამ წრიალ ქვეყანაზე

მშვიდობის ნობელის პრემიაზე

1993 წლის მშვიდობის ნობელის პრემიაზე პრეტენზიას აცხადებს 110 კანდიდატი. რადგან ზოგიერთ ქვეყანაში ფოსტის ცუდი მუშაობის გამო მთელი რიგი წარდგინებანი, შესაძლოა, ჯერ კიდევ გზაშია, ინსტიტუტი მიიღებს მათ განსახილველად, თუ ისინი გაიგზავნა 1 თებერვლამდე, როცა გავიდა ამისათვის ტრადიციით დადგენილი უკიდურესი ვადა.

პრესტიჟული ჯილდოს უკვე რეგისტრირებულ პრეტენდენტთა შორის არის 22 ორგანიზაცია და 88 საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. ლუნდესტადმა უარი თქვა დაესახელებინა თუნდაც ერთი კანდიდატი, მაგრამ ნორვეგიის დეპეშათა ბიუროს ცნობით, ზოგიერთი დაასახელეს იმათ, ვინც ისინი წარადგინა. მაგალითად, ნორვეგიის სტორტინგის (პარლამენტის) სამმა დეპუტატმა ნობელის მშვიდობის პრემიის მისაღებად დაასახელა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი და გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი ევროპის გაერთიანებისათვის მათი ძალისხმევის გამო. სხვა კარგად ცნობილ კანდიდატებს შორის არიან ნელსონ მანდელა და ვილი დი კლერკი, საირუს ვენსი და დავიდ ოუენი.

ფულადი გამოხატულებით მშვიდობის ნობელის პრემია წელიწადს 6,7 მილიონ შვედურ კრონს შეადგენს. როგორც ყოველთვის, მისი გადაცემის საზეიმო ცერემონია გაიმართება ნორვეგიის დედაქალაქში 10 დეკემბერს — ალფრედ ნობელის ხსოვნის დღეს.

ლიდერობენ ამერიკის კორპორაციები

ამერიკის კორპორაციები კვლავ ლიდერობენ უცხოელ ფირმებს შორის, რომლებიც რუსეთში მკვიდრდებიან. ყოველ შემთხვევაში რიცხობრივი თვალსაზრისით მაინც, წერდა სამშაბათს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი", რომელიც იმოწმებს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს. სამი წლის წინათ, აღნიშნავს იგი, იყო მხოლოდ შეერთებული შტატების დაახლოებით 35, 40 კომპანია, რომლებსაც „პლაცდარმები" ასევე რუსეთში ჰქონდათ. ახლა მათი რიცხვი სამასამდეა.

გულთაზრიანი ქალი

გიორგი ლალიაშვილი.

ვინ არ ახსოვს რევაზ ინანიშვილის კარგა ხნის წინათ დაწერილი „ძველი ქართველი ქალი", მაგრამ წლეულს, ხაზგასმით. ჩვენი დიდებული მსახიობი ქალის ზაზა ლებანიძის მიერ ტელეეკრანიდან გაცოცხლებულმა ხელმეორედ დაგვაბრუნა ამ საოცარ მოთხრობასთან. მისი მოსმენის შემდეგ ჩვენს ოჯახში ყველას თვალებში ცრემლი გვიკრთოდა, აი ისეთი, ინანიშვილისეული „ლამაზი ცრემლები".

— ეჰ, სადღა არიან ეგეთი ქალები, ერის, კაცობის, ენის შემნახველები და ბურჯები — შემომედავება მავანი.

— როგორ თუ სადღა არიან? ჩვენს შორის არიან! — ვამბობ მე. არიან და ყოველთვის იქნებიან, სანამ საქართველო იარსებებს, მათი მადლი მისცემს ძალას ერს, რომ ისევ ერობდეს, თავი ამაყად ეჭიროს. ესენი ის დიდებული ადამიანები არიან, რომელთა შესახებ უკვდავი ნიკო ლორთქიფანიძე ქმუნვით ამბობდა — „უძეგლოდ იკარგებიანო!"

შუა ზამთრის სევდაში უჩინარ ადამიანებს მინდა მოვუმყუდროო, რომლებიც ჩვენს შორის ცოცხალ ჭვრუბად და ძეგლებად დადიან...

მეც ვიცნობ ოთხმოც წელს გადაცილებულ ასეთ ძველ ქართველ ქალს, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქიდან. ისიც ინანიშვილის გმირის — დარია ძალოს მოსახელეა და იმასავით ოჯახის დედაბოძი. ძველი ოჯახიშვილია, წარმოშობით სოფელ ერთაწმინდიდან, დედა ელისაბედაშვილის გვარისა ჰყავდა, ქართული ქორეოგრაფიის კლასიკოსი დავით ჯავრიშვილი ბიძა იყო მისი, თბილისის ქალთა მეხუთე გიმნაზია დაუმთავრებია და ძალიანაც ემაყება. მთელ სოფელს, სამეზობლოს თუ სანათესაოს სათუთად უყვარს მადლიანი და ბარაქიანი დარიკო ჯავრიშვილი. ორი ვაჟიშვილი გაზარდა, რომლებიც თბილისში დამკვიდრდნენ. იმათზე და იმათ ბადიშზე ამოსდგს მზე და მთვარე, — „იმათმა სიცოცხლემ და გამრავლებამო" — ხშირად იტყვის ხოლმე. რამდენს ეხვეწებიან შვილები: — წამო დედა, ქალაქში, ჩვენთან იყავი, რო გიყუროთო, მაგრამ ცივად იუარებს, ოფლჩაღვრილ ფუძე-კარს ეგრე იოლად ვერ ელევა, წელიწადში ორ-სამჯერ ჩამოვა, დახედავს მათ და მალევე გაბრუნდება, უფრო ქალაქელები აკითხავენ.

უკვე მეცხრე წელიწადია რაც მეუღლე დაჰკარგა და მარტო ეწევა ჭაპანს, თუმცა ამ სახლში მიუხვედრილი სტუმარი ვერ იტყვის, რომ უკაცო ოჯახში შევიდა. დარიკო დეიდას ღვთისა და საკუთარი მარჯვენის შეწევნით შინ ბლომა ხვავი მოეპოვება, არაფერზე არ ღონდება, ქათამიც შინა ჰყავს და ინდაურიც, სტუმრისათვის უხვად უყვარს გარჯა, აუცილებლად ქვევრსაც მოხდის სარქველს, ფიროსმანის ნატურმორტივით სუფრას გააწყობს, მერე თამადობასაც თვითონ გასწევს, უმალ ხალისი დაგრევს ხელს მისი კაფიების. სახუმარო შაირების და გიტარაზე სიმღერის მოსმენისას. თვითონ ილხინს და ალხენს სტუმარსაც. შევყურებ ამ ოჯახ დედაკაცს და მჯერა, სწორედ ასეთებმა გადაარჩინეს შეინახეს ერი და ენა.

აი, ახლაც გიყვებით დარიკო ჯავრიშვილზე და ჩვენი დიდი მწერლის გმირები მიცოცხლდებიან თვალწინ — ოთარაანთ ქვრივი, თავსაფრიანი დედაკაცი, მაიკო (გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხიდან"), ყველა მათგანის ნაწილია მასში და მაინც განსხვავებული, თავისებური მადლითაა ცხებული.

ყოველდღე მერცხლის გაღვიძებისას დგება, სანამ სამსახურში წავა, ეზო-კარსა და ბაღ-ვენახს დაამარმარებს, მუხლჩაუხრელად ჯაფაობს შინ თუ სამსახურში, რომელიც სოფელ ზემო ჩოჩეთში აქვს. უკვე რამდენიმე ათეული წელია ამ სოფლის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს. სოფელში მის სიტყვას ფასი და წონა აქვს, ახლაც სოფლის საკრებულოს უხუცესი წევრია. გაჭირვებულის თანადგომაში ხედავს ცხოვრების მთავარ აზრს, მისი სჯერათ და ენდობიან, მასზე სოფელში ამბობენ **გულთაზრიანიაო,** — ქართლში ეს სიტყვა **გულით გამგებს** ნიშნავს. ამას წინათ, ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნის საღამოზე რუსთაველის თეატრში, ერთმა დროულმა ქართველმა კაცმა რომ გაიგო დარიკო ჯავრიშვილზე ვაპირებდი წერილის დაწერას, თვალებში კეთილი სხივი ჩაუდგა და მითხრა: „ეგ ისეთი ბრძენი და ცოდო-მადლიანი ქალია, მაგაზე ალალიაო!".



ღვაწლი

შემთხვევით არ გამხსენებია ზემოთ ოთარაანთ ქვრივი, დარიკოს ბებოსაც მასავით ხუთი ქისა აქვს გამოკრული. გახსოვთ ალბათ, პირველ ოთხ ქისას რაც გადარჩებოდა, ოთარაანთ ქვრივი მეხუთე ქისაში — „შიოს მარანში" უყრიდა თავს, ეს იყო ღარიბთა და უპოვართა გასაკითხავი ფული. ზუსტად ასევე იქცევა ჩვენი გმირიც. ვის აღარ შეეწია და ვინ არ გაიკითხა ამ ქისით. ფული შეიტანა დავით აღმაშენებლისა და ბავშვთა დაცვის ფონდში, რუსთაველის, დემოგრაფიული საზოგადოების ანგარიშზე, მიწისძვრით დაზარალებულთა და რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდში, თავდაცვის ფონდს შესწირა შემორჩენილი ოქრო და ვერცხლი. ბავშვთა ფონდს კი საჩუქრად გადასცა დის, საქართველოს სახალხო მხატვრის რუსუდან ჯავრიშვილის პეიზაჟი „გაგრის ხედი".

— ღვთისმოსაობა იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ყოველი ძე ადამისა უყვარდესო — იტყვის ხოლმე. ადამიანის დიდი სიყვარულით, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით არის გასხივოსნებული მთელი მისი ქმნა-მოღვაწეობა.

ერთ რამედა ღირს დარიკო ჯავრიშვილის ძარღვიანი სიტყვათქმანი და იუმორი, მის გვერდით არ მოიწყენ, საუბრობს ლონიერი, სახიერი გამოთქმებით. სხვაგვარი მუქი, ფერხატოვნება და მირონი ახლავს მის ლექსიკას; „დამთქნარება დღეაო" — ზამთრის დღეზე იტყვის, „ვეძა კაციაო" — ავისტყვა კაცზე, „მთვარის გამოხლებას" ახალი მთვარის დადგომას ეძახის, „გულ ზამთარს" — შუა ზამთარს. თვალმარგალიტითაა სავსე მისეულ ფრაზები, რომელიც ერთი გინდა გაიხსენო:

„დილადანვე უნდა წამოუდგე ღვთისგან ნაბოძებ დღესო".

„რაც უფრო მეტად აჰყვები ავადმყოფობას, მით უარესია, თავს უნდა შემოუძახოს ადამიანმაო!"

„ყოველ ცისმარე დღეს ისე უნდა შეხედო, როგორც ბავშვის დაბადებას, რომელსაც ჯერ სახელი არა აქვსო".

„გულში დაგროვილ დარდს წამოდგომისთანავე ლოგინს ვუტოვებ, ადამიანებთან ღიმილიანი რომ მივიდეო".

„ჯავრიშვილი კი ვარ, მაგრამ მთლად გვარს ნუ ენდობით, ჩემისთანა მამალხინე და გულმხიარული მეორე არ მეგულება ქვეყანაზე, ჯანი აღარ მომდევს ძველებური, თორემ გული ისევ მღერის".

თუმცა, ახლა კი რაღა მემღერება, ამ ომმა გამათავა, ღმერთო გაიწონება, ძილი აღარ მეკარება, შავი ფიქრი აღარ მაძლევს მოსვენებას, ამოდენა ყმაწვილი ვაჟკაცის სიცოცხლე რო იწვება ჩალასავით, ისა მკლავს და მდაგავს. რამდენის დაღუპვასაც გავიგებ, გული მედაღება და მეკეცება. ის ამოდენა საფლავის კარი რო გაიღო, ზღვის შესაწონი სისხლი რო იღვრება, ღმერთი ამოდენა ვარსკვლავი რო მოცვივა ციდან, მე რაღამ უნდა გამახაროს და გამგულდიდოს — უადამიანოდ ხო ყველაფერი ბრმაა!

მუდამდღე ლოცვაში ვარ, მწამს, ღმერთი შეისმენს ჩემს გულჭივილს, სასოებით შევთხოვ წმინდა გიორგის, მტრის ძალთა შემმუსვრელს — შენ უშველე საქართველოს! შევღაღადებ ღვთისმშობელ მარიამს — წმიდაო სახიერო, მოგვეც ჩვენ გაძლება, ხორცით— ძვლამდე მოგვითმენინე ტკივილი. ვითარცა შენს ძეს დაუთმენია!

„ვეფხვი და მოყმის" დედის ჭილავისაა დარიკო ჯავრიშვილი და ამიტომ ესმის და სტკივა, აფხაზი დედის ტკივილიც, ისინიც ხომ ასევე დაზაფრა ამ ომმა.

— სევდა გულს მიხერხავს, მაგრამ მაინც გულისგულში ნათელი მღვივის, მჯერა გამარჯვებისა. ჩვენი სიმართლე წაგვიძღვება [illegible]. უფრო კი იმის იმედი მაძლიერებს, რომ სიცოცხლე უკვდავია, უმარცხებელია, სიცოცხლე სიკვდილის ყმა არასოდეს არ იქნება!— ამბობს ჩვენი საუკუნის თანატოლი და ენამზე ქართლელი ბერდედა და მისი ნათქვამი ჩვენს გულებსაც ამხნევებს...

• • •

სურათზე: დარიკო ჯავრიშვილი.

სიმონ კილაძის ფოტო.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

მხიარულ პერსონაჟებთან შეხვედრის სიხარული

საქართველოს ტელევიზიის კომენტატორის მერაბ ბერაძის კომედია „განსვენებულის ბინის" პრემიერა წარმოადგინა გასულ შაბათს თბილისის პ. ადამიანის სახელობის სომხურმა თეატრმა. მიხეილ გრიგორიანის ჩინებულმა რეჟისორულმა გადაწყვეტამ და მსახიობთა ანსამბლის ოსტატობამ უზრუნველყვეს დასის ახალი ნამუშევრის წარმატება.

„განსვენებულის ბინა" მერაბ ბერაძის მეორე პიესაა, რომელიც სომხურ სცენაზე დაიდგა. ათი წლის წინათ აქ დიდი წარმატებით იდგმებოდა სპექტაკლი „ორი ბილეთი".

— დღეს ყველას გვიჭირს, — თქვა დამდგმელმა, — შემაშფოთებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა და შემოქმედ ადამიანს უჭირს გამოძებნოს სიტყვები, რომლებიც მაყურებელს გულში მოხვდება. არჩევანი შემთხვევით როდი შევაჩერეთ მერაბ ბერაძის კამერულ, ყოფით პიესაზე. ვცდილობდით მიგვენიჭებინა მაყურებლისთვის მხიარულ პერსონაჟებთან შეხვედრის სიხარული...

ახალი სპექტაკლით კოლექტივი განაგრძობს ქართულ დრამატურგიასთან თანამეგობრობის დიდი ხნის ტრადიციებს.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

რუბენ რუხკიანის ფოტო.

ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად

საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვის ჯგუფის „ჰელსინკი-91"-ის კოორდინატორი ბატონი გიორგი ახალაია დღეს ლუბლიანაში გაემგზავრა ადამიანთა უფლებების დაცვის „ჰელსინკის" საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც იგი მიწვეულია ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბ-ნი ნოვიცკის მიერ.

ლუბლიანიდან გ. ახალაია გაემგზავრება ბონში, „ალიანსი-90"-ისა და „მწვანეების" მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც გამოვა მოხსენებით საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის, ადამიანთა უფლებებისა და „ჰელსინკი-91"-ის საქმიანობის შესახებ.

კრიმინალური ქრონიკა

სახელმწიფოს დაუბრუნდა შვიდი მილიონი მანეთის ქონება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის და სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოების მუშაკთა ერთობლივი ქმედებით დააპატიმრეს განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედთა ჯგუფი 18 კაცის შემადგენლობით. მათ ჩამოერთვათ შვიდი მილიონი მანეთის ღირებულების სახელმწიფო ქონება.

— დამნაშავეთა უმრავლესობა არიან საკუთრების დაცვის თანამშრომლები. მათ კარგად იცოდნენ, სად რა ინახებოდა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა თემურ წიქარაძემ. მათი „მოღვაწეობა" დაიწყო 1991 წლიდან, როდესაც გაქურდეს თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა, „საქკოოპშრეწვი", ფეხსაცმელების ფაბრიკა „ნარიყალა", თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისი", სახალხო მოხმარების საგნების კოოპერატივი „სილუეტი" და დიდუბის რაიონში მდებარე „სახელმწიფო რეზერვების ბაზა".

გულიკო მარკოზაშვილი.

შეფერხება დროებითი იყო

პურის მიწოდების შეფერხებას დროებითი ხასიათი ჰქონდა და რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ნაკლებობასთან იყო დაკავშირებული. დღეისათვის საქართველოში არსებული 14 პურის ქარხნიდან მუშაობს — 13. საქართველოში ყოველდღიურად შემოდის 1.500-1.600 ტონა ფქვილი, რაც, პურპროდუქტების სახელმწიფო კონცერნის ხელმძღვანელთა განცხადებით, მთლიანად აკმაყოფილებს რესპუბლიკის მოსახლეობას.

იბერია.

ავარიული მდგომარეობის გამო

რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მიწოდება შეუმცირდათ იმ რაიონებს, რომელთა მომარაგებაც დაკავშირებულია ენგურჰესთან. ამის მიზეზია ელექტროგადამცემი ხაზის — „იმერეთის" ავარიული მდგომარეობა.

იბერია.

გრძელდება დამოუკიდებელი ქართული სპორტის საერთაშორისო აღიარება.

ამ დღეებში, საავიაციო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ თავის რიგებში 73-ე წევრად მიიღო ჩვენი ქვეყნის ფედერაცია.

გაიმარჯვეს შევარდნელებმა

თბილისში დამთავრდა 1977-1978 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა რესპუბლიკის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები შემდეგი თანამიმდევრობით განაწილდა: I — „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული სპორტსკოლა (მთავარი მწვრთნელი — როინ დობორჯგინიძე), II — „მართვე", III — ქუთაისი.

იწყება დასკვნითი ტური

ხვალ ვერის პარკში მდებარე მიხეილ კიკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში იწყება ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტური, რომელიც დაასახელებს პირველობის მედლების მაძიებელ 6 საუკეთესო გუნდს.

შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან დედაქალაქის კლუბები — „ვიტა", „დინამო" და „მერანი".

ქართველებმა კრივიც კარგი ვიცით

კიდევ ერთხელ გაგვახარეს ქართველმა მოკრივეებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თეირანში 8 ქვეყნის სპორტსმენთა შორის გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

ოქროს მედლებით ბრუნდებიან სამშობლოში ფოთის „შევარდენის" წარმომადგენლები — პაატა გვასალია (მან ფინალში ევროპის ორგზის ჩემპიონი, სომხეთის ნაკრების წევრი მიხაკ კაზარიანი დაამარცხა), კობა გოგოლაძე და ზურაბ სარსანია. ასპარეზობის მეორე პრიზიორები გახდნენ გორელი გიორგი კანდელაკი („მართვე"), რომელიც მთავარი ჯილდოს გარეშე მსაჯების „დამსახურებით" დარჩა და მესტიელი ზურაბ ფალიანი („შევარდენი").

ამ ტურნირისათვის ჩვენი მოკრივეები მოამზადეს კვაჭაძემ, ქართველიშვილმა, ჯუნიამ და ქავთარაძემ.

ტურნე წარმატებით დაასრულეს

ირანში საერთაშორისო ტურნირზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა 3 ამხანაგური მატჩი გამართა შირაზის პროვინციის კლუბებთან და სამივე მოიგო.

წყალდიდობა იქნებაო

ბუნებამაც ჩვენთვის მოიცალა...

რ. ჭითავა,
საქმთავარჰიდრომეტის უფროსის მოადგილე;
ჯ. დოლიძე,
ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

წყალდიდობა მდინარის წყლიანობის პერიოდული მატებაა, მას ჩვენში თოვლისა და ყინვარის დნობა იწვევს. ნიშანდობლივია, რომ მდინარის წლიური ჩამონადენის 50-70 პროცენტი გაზაფხულის წყალდიდობაზე მოდის, თუმცა, მისი ხანგრძლივობა საქართველოში საშუალოდ 3-4 თვეა. წყალმოვარდნა კი მდინარეებში წყლის დონის სწრაფი, შედარებითი ხანმოკლე აწევა და შემდგომ მდინარეთა დონის ასეთივე სწრაფი დაწევაა. წყალმოვარდნის მიზეზად კოკისპირული წვიმა, მკვეთრი დათბობის შედეგად, თავსხმა და, თოვლის ინტენსიური დნობა, წვიმები ითვლება.

წყალმოვარდნა არაპერიოდულობით ხასიათდება და იგი წლის ნებისმიერ პერიოდშია მოსალოდნელი. ასეთი იყო მაგალითად კატასტროფული წყალმოვარდნა დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე 1987 წლის 31 იანვარს, რომელიც გამოიწვია მკვეთრმა დათბობამ, მას სამი-ოთხი დღე ძლიერი წვიმა უსწრებდა, რასაც თოვლის ინტენსიური დნობა მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ამ წყალდიდობას კატასტროფული შედეგები აღარ მოჰყოლია, თუმცა, მაშინ მთაში დიდძალი თოვლი იყო დაგროვილი.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი თოვლითაა დაფარული. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ზღვის დონიდან 500-1000 მ-მდე მისი სიმაღლე 2-3 ჯერ სჭარბობს მრავალწლიურ საშუალო მნიშვნელობებს (ნორმას), ზღვის დონიდან 1000-2000 მ-მდე თოვლის საფარის სიმაღლე დასავლეთ საქართველოში 3-4-ჯერ, რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში კი 2-ჯერ მეტია ნორმაზე. მაღალმთიან ზონაში, ზღვის დონიდან 2000 მ-ზე ზემოთ მისი სიმაღლე 2-3-ჯერ სჭარბობს ნორმას, წყალდიდობის ფორმირებაში ძირითადად ბოლო ორი ზონა მონაწილეობს.

მდინარეთა აუზების მიხედვით, განსაკუთრებით უხვთოვლიანია აჭარისწყლის, სუფსის, ნატანების, ყვირილას, ცხენისწყლის, მტკვრის აუზები. რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო, ბზიფის, კოდორის, გუმისთის, ღალიძგის, ლიახვის აუზებში დღეისათვის არსებული ვითარება ჩვენთვის უცნობია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იქაც მაღალი თოვლის საფარია.

1987 წელთან შედარებით, საქართველოს მთებში თოვლის მარაგი დღეისათვის ნაკლებია.

გაზაფხულის წყალდიდობის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს წყალდიდობის პერიოდში მოსულ ნალექებს და ამ პერიოდის ტემპერატურულ რეჟიმს. ამ ფაქტორების გათვალისწინება მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენაში გაძნელებულია. ამ გარემოებას გარკვეული ცდომილებები შეაქვს წყალდიდობების პროგნოზირებაში.

საქართველოს მთებში დღეისათვის შექმნილი თოვლის მძლავრი საფარი წყალდიდობის პერიოდში საშიში წყალმოვარდნების პოტენციურ საშიშროებას ქმნის. ამაზე გაამახვილა ყურადღება აკად. მირცხულავამ გაზეთ „თბილისში", ა. წ. 27 იანვარს, 12 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „მოსალოდნელია წყალდიდობა" რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის მოადგილის რ. ნადირაძის მიერ დაისახა ღონისძიებათა კომპლექსი მოსალოდნელი კატასტროფული წყალდიდობისგან ზარალის თავიდან ასაცილებლად.

კონსულტაციის სახით ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკურ ცენტრში წყალდიდობის წინასწარი პროგნოზის შედგენა შესაძლებელია. თებერვლისა და მარტის მიჯნაზე საქმთავარჰიდრომეტის სპეციალისტები მდინარეთა აუზებში აწარმოებენ თოვლის მარშრუტულ აგეგმვას, რაც აუცილებელია თოვლის წყლიანობის დასადგენად. სხვა წყაროებთან ერთად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია და ამინდის გრძელვადიანი პროგნოზი საშუალებას იძლევა მარტის ბოლოს — აპრილის დასაწყისში, შედგეს წყალდიდობის ძირითადი პროგნოზი საქართველოს მდინარეებზე 1993 წლისათვის, რაშიც შეუძლებელია გათვალისწინდეს წყალმოვარდნებისაგან გამოწვეული წყლის დონეთა აწევა საშიშ ნიშნულებამდე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი დაკავშირებულია ძლიერ დათბობასთან კოკისპირული წვიმების თანხლებით. ასეთი სახის პროგნოზების შედგენა შესაძლებელია მხოლოდ 1-2 დღით ადრე.

ჰონორარი გადაირიცხოს თავდაცვის ფონდში.

ცხონება

ალექსანდრე შალამბერიძე

ქართული ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი ალექსანდრე ამბაკოს ძე შალამბერიძე.

დაიბადა 1910 წელს ქ. ფოთში. ტრანსპორტის ინჟინერთა ამიერკავკასიის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როგორც გზების სპეციალისტი, პრაქტიკულ საქმიანობას იწყებს ციმბირში ბაიკალამურის დიდი მაგისტრალის მშენებლობაზე.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობს ჯერ სამხედრო ობიექტების მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად, ხოლო შემდეგ „აფხაზთამბაქონედლეულის" ტრესტის მთავარ ინჟინრად. ამის შემდეგ მას იწვევენ მშობლიურ ინსტიტუტში სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში სამოღვაწეოდ. აქ მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა, გაიზიარა ქართველ ჯარისკაცთა ხვედრი ქერჩის ფრონტზე და მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა სამხედრო ჰოსპიტალში. განკურნების შემდეგ ომის ინვალიდი კვლავ ემსახურებოდა ახალგაზრდა საინჟინრო კადრების აღზრდის საპატიო საქმეს.

იგი იყო დეკანი, ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი, კათედრის გამგე. მისი ავტორობით გამოიცა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის.

ბატონ ალექსანდრე შალამბერიძის — ჩინებული სპეციალისტის, პრინციპული, უანგარო და უპრეტენზიო პიროვნების, სამშობლოზე და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის ნათელი სახე მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილთა ხსოვნაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი,
სასწავლო-სამეცნიერო სატრანსპორტო ინსტიტუტი,
რკინიგზების მშენებლობის კათედრა.

1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის პირველი ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1993 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონში.

მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის ობლიგაციებს.

სერია	ობლიგაცია	მოგების ოდენობა მანეთებში	სერია	ობლიგაცია	მოგების ოდენობა მანეთებში
00105	1-40	50000	10771	007*	250000
00179	014*	250000	10882	025*	100000
00476	038*	100000	10999	039*	100000
00494	012*	100000	11443	002*	100000
01180	022*	1000000	12169	001*	100000
01546	017*	100000	12287	004*	100000
01711	019*	100000	12296	024*	100000
01766	1-40	50000	12920	027*	250000
02114	1-40	50000	13062	014*	100000
02184	003*	250000	13815	008*	100000
02497	014*	100000	13924	017*	100000
02721	040*	100000	14063	015*	250000
03010	027*	100000	14138	003*	100000
03332	007*	100000	14365	014*	100000
03442	036*	75000	14396	1-40	50000
03775	1-40	75000	14925	005*	100000
03936	005*	50000	14941	018*	100000
03956	006*	250000	15549	004*	100000
04384	034*	250000	15772	023*	100000
04464	1-40	75000	16171	023*	250000
04730	1-40	10000	16943	1-40	50000
04911	1-40	10000	16976	027*	100000
04961	1-40	75000	16998	1-40	50000
04995	009*	100000	17346	031*	500000
05298	023*	100000	17923	034*	100000
05513	012*	100000	18136	034*	100000
05643	031*	75000	19050	1-40	50000
05676	001*	500000	19153	037*	100000
06051	1-40	50000	19537	020*	250000
06497	005*	100000	19913	014*	100000
07277	015*	100000	20438	1-40	75000
07292	009*	100000	20489	014*	250000
07542	1-40	50000	20823	1-40	50000
07641	1-40	75000	21020	005*	500000
07676	006*	100000	21023	005*	100000
07677	014*	100000	21453	1-40	50000
08409	008*	100000	21583	034*	100000
08632	015*	100000	21597	1-40	50000
08726	012*	100000	21870	035*	100000
08822	1-40	75000	22148	020*	100000
08923	005*	500000	22159	035*	100000
09133	1-40	75000	22190	1-40	50000
09146	037*	100000	22467	032*	250000
09153	027*	250000	22320	023*	250000
09335	029*	250000	23275	1-40	75000
09402	012*	100000	23615	025*	250000
09490	033*	100000	23753	032*	100000
09735	025*	100000	23786	004*	250000
09844	003*	100000	24034	026*	250000
09966	1-40	75000	24148	005*	100000
09990	035*	100000	24164	018*	250000
10253	013*	500000	24539	030*	250000
10545	030*	250000	24591	038*	100000
10662	040*	100000	24668	021*	250000
10736	023*	100000	24934	1-40	50000

ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 89 ნომერს მოგება ხვდა 10.000 მან.

ცხრილში მოცემულია მოგებები 5000 მანეთიან ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 მანეთიანი ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.

მაგ. თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000; 500000; 250000; 100000; 75000; 50000; 10000 მანეთი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1010000; 510000; 260000; 110000; 85000; 60000; 20000 მანეთი.

1000 მანეთიანი ობლიგაციის მოგების შემთხვევაში გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგ. თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000; 500000; 250000; 100000; 75000; 50000; 10000 მანეთი — შესაბამისად გაიცემა 200000; 100000; 50000; 20000; 15000; 10000; 2000 მანეთი.

მოგების თანხაში ჩათვლილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე — ე. ქვაჩახია,
თავმჯდომარის მოადგილე — საქ. რესპ. ფინანსთა სამინისტროს საფინანსო მექანიზმის სრულყოფის ფასებისა და ფულის მიმოქცევის სამმართველოს უფროსი — გ. კომახიძე,
თავმჯდომარის მოადგილე — ჩუღურეთის რაიონის საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილე — ნ. მაღლაკელიძე,
პასუხისმგებელი მდივანი — საქ. რესპ. სახ. კომერციული შემნახველი ბანკის დეპოზიტის, ანაბრებისა და უნაღდო ანგარიშსწორების სამმართველოს მთავარი ეკონომისტი — გ. კურტანიძე.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

აცხადებს, რომ 1993-94 სასწავლო წლის მისაღები გამოცდები ჩატარდება სპეციალობების მიხედვით შემდეგ საგნებში:

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:

დაზგური და მონუმენტური ფერწერა — 1. „ტორსი" (ტილო, ზეთი), 2. „რთული ნატურმორტი" (ტილო, ზეთი), 3. „თაბაშირის ფიგურა" (ხატვა). 4. „ცოცხალი მოდელის პორტრეტი" (ხატვა), 5. „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ტილო, ზეთი).

თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, კინო და ტელევიზიის მხატვრობა: 1. „ჩაცმული ფიგურა" (ტილო, ზეთი, მუყაო, ტემპერა, გუაში), 2. „რთული ნატურმორტი" (ტილო, ზეთი), 3. „თაბაშირის ფიგურა" (ხატვა), 4. „ცოცხალი მოდელის პორტრეტი" (ხატვა), 5. „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ტილო, ზეთი).

დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია: 1. „რთული ნატურმორტი" (ქაღალდი, წყლის საღებავები), 2. „თაბაშირის ფიგურა" (ხატვა), 3. „ფერწერული ნაწარმოების ასლის გადაღება" (ქაღალდი, ტემპერა), 4. კომპოზიცია „იკონოგრაფიული სქემის შედგენა ფერში" (ქაღალდი, ტემპერა), 5. საქართველოს ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი (ზეპირი, ჩათვლა).

დაზგური გრაფიკა: 1. „ჩაცმული ფიგურა" (მთლიანად, კომპოზიციურ გარემოცვაში, ქაღალდი ან მუყაო, აკვარელი, გუაში), 2. „თაბაშირის ფიგურა" (ხატვა), 3. „ცოცხალი მოდელის პორტრეტი" (ხატვა), 4. „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ქაღალდი, ფანქარი, ფუნჯი, კალამი, ტუში).

მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა: 1. „რთული ნატურმორტი" (ქაღალდი, წყლის საღებავები), 2. „თაბაშირის ფიგურა" — (ხატვა), 3. „ცოცხალი მოდელის პორტრეტი" (ხატვა, ერთდღიანი მოცემულობა, სწრაფი ჩანახატი), 4. „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ქაღალდი, ტუში, აკვარელი).

ქანდაკება: 1. „ცოცხალი მოდელის თავი" (ძერწვა, თიხა), 2. „თაბაშირის თავის ასლი" (ძერწვა), 3. „თაბაშირის ფიგურა" (ხატვა), 4. „ცოცხალი მოდელის პორტრეტი" (ხატვა), 5. „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ძერწვა).

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი:

ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე: 1. „ნატურმორტი" (წყლის საღებავები), 2. „თაბაშირის ფიგურა ან ტორსი" (ხატვა), 3. „კომპოზიცია" — სპეციალობის მიხედვით (წყლის საღებავები).

შენიშვნა: ლითონის და სხვა მასალათა მხატვრულ ნაკეთობათა სპეციალობაზე შემსვლელნი ნაცვლად „ნატურმორტისა" შეასრულებენ მოცემულობას — „რთული ჰორელიეფი" (ძერწვა, თიხა, პლასტილინი).

მხატვრული კერამიკისა და მინის სპეციალიზაციაზე შემსვლელნი აბარებენ ფერწერაში მოცემულობას — „ნატურმორტი" ან ქანდაკებაში მოცემულობას „თაბაშირის თავის ასლი" (ძერწვა) — სურვილის მიხედვით.

არქიტექტურის ფაკულტეტი:

არქიტექტურის სპეციალობებზე (საზოგადოებრივი და საცხოვრებელ ნაგებობათა არქიტექტურა, ლანდშაფტის არქიტექტურა, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია): 1. „თაბაშირის თავი" (ხატვა), 2. „ნატურმორტი — თავისუფალი კომპოზიცია მოცემულ საგნებისაგან" (ხატვა), 3. „ნატურმორტი" (აკვარელი), 4. იგივე „ნატურმორტი" (საგნების გადაადგილებით, ორ ფერში), 5. „რთული გეომეტრიული ნახაზი" (ამოცანა შეუღლებაზე, ფანქარი), 6. პროექციული ხაზვა (ფანქარი), 7. მათემატიკა (წერა, ჩათვლა).

მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება:

მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის სპეციალობაზე: 1. „ნატურმორტი" (ზეთი ან წყლის საღებავები), 2. „თაბაშირის ფიგურა ან ტორსი" (ხატვა), 3. „კომპოზიცია" (წყლის საღებავები. სრულდება მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით).

არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკის სპეციალობაზე: 1. „თაბაშირის თავის ასლი" (ძერწვა), 2. „თაბაშირის ფიგურა ან ტორსი" (ხატვა), 3. „კომპოზიცია" (ჩანახატი ან რელიეფი მასალაში, მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით. ძერწვა, პლასტილინი).

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობაზე:

1. ხელოვნების ისტორია (რეფერატი, წერა),
2. ხელოვნების ისტორია (ზეპირი).

შენიშვნა: 1. ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე გამოცდა ეწყობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

2. ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე — (გარდა არქიტექტურისა და ფერწერის რესტავრაციისა) ეწყობა ჩათვლა საქართველოს ისტორიაში.

მიმღები კომისია.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" ხაგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434